

# დასავლეთი საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A I

1936—№ 125



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს   ბ ე ლ ი ტ ი კ უ რ ი   პ ა რ ტ ი ე ბ ი ს   ო რ გ ა ნ ო .

## 2 6   მ ა ი ს ი

ამ თვრამეტი წლის წინ საქართველოს ღრუბლიან ციდან 26 მაისმა ჩამოანათა; ერმა მას ჩასტიდა მაგარი ხელი და უდიდეს დღესასწაულათ გამოაცხადა. მან მასში იცნო თავის თავი, თავისი სული და გული. თავისი აწმყო და მომავალი და თავისი სევდები მას გადააბა.

26 მაისი გახდა მწვავე გავლილი ისტორიის დაბოლოება და ახალი ცხოვრების დაწყება. ერმა ამ დღეს საბოლოათ უარყო სხვისი ბატონობა, უცხოის ოპეკუნობა და გადასწყვიტა თვით ბატონობა. საქართველო ეკუთვნის საქართველოს ხალხს, შესძახა მან მსოფლიოს და მამაცურათ ამ გზაზე შედგა.

26 მაისი არის დაბადების დღე ახალი საქართველოსი; ამ დღეს გამოჩნდა ქართველი ერი მთლიანი, მორიგებული და ერთი აზრით გამსჭვალული. ამ დღეს გამოჩნდა ქართველი ხალხი შეგნებულნი, შეკავშირებული და თვითმართველი.

26 მაის ქართველობა ერთსულოვანათ გამოეყო ჩრდილოეთს, გამოვიდა მის ტყვეობიდან, დაღწა მისი ბორკილები და მოიპოვა თავისუფლება. ის თვით შეიქმნა თავისი ცხოვრების, კულტურის და შემოქმედების ამწყობი და დამწყობი. ის ამაყთ ედოდა ამ გზაზე, მუშაობდა ამ ხაზზე სამ წელიწადს, მუშაობდა შეუჩერებლათ, შეუდრკელათ, თა დადებულათ. მან ძირბუდიანათ გამოგავა ძველი ცხოვრება, დაშალა ძველი შინაური ურთიერთობა, ჩაუყარა საფუძველი ყველა ახალ, ხალხურ და ეროვნულ დაწესებულებათ, დახსნა ყველა შეკრული არტანები აზროვნების, შემოქმედების და მოღვაწეობის.

26 მაის ქართველი ხალხი ერთათ თავს იყრიდა და მხიარული მას დღესასწაულობდა; ის ამ დღეს ეტრფოდა, მას უგალობდა და ხარობდა; ხარობდა თავის აღდგომას, თავის დაგაქაცებას, თავისუფალ ხალხთა გვერდით თავისუფლათ დადგომას.

26 მაის საერთაშორისო ოჯახს მიემატა ერთი ახალი წევრი; ის შევიდა ამ ოჯახში თავაწეული, ნათელი სახით და ნათელი აზრით. ისიც იცვნეს აქ თავის ტოლათ და მას ხელი გაუწოდეს ჩამოსართმევათ.

საქართველო იშვა 26 მაის, იშვა თავის ქვეყანაში, იშვა მსოფლიოში, ნაციონალურათ, ინტერნაციონალურათ.

სადღა არის დღეს ეს საქართველო? ის აღარ

არის, მას მოუბრუნდა ძველი მტერი, მას მოეპარა ჩრდილოეთი და მოსტაცა სული ძლიერი. მან შესწყვიტა ერის მაჯისცემა და შეება ძველი ბორკილები. პატივ აყრილი, უფლება ართმეული, ენა ამოღლეჯილი ქართველი ერი ბნელ საკანშია ჩამწყვედეული. ცხოველმყოფელ სინათლეს მოკლებული. მისი ერთგულნი იღვენება, მის ორგულთ ფიანდაზა ეფინება. სწორ გზაზე სიარული დასჯილია, მრუდე გზაზე სვლა დაჯილდოვებულია. ქართველი ხალხისათვის დედასამშობლო დედინაცვლათ გადაქცეულია. მტერნი მოყვრულათ გარს ეხვევიან და მოითხოვენ გუნდრუკის კმევას. ხელის მომთბობნი და გონებით მხდალნი მათ უგალობენ ქებათა ქებას. ხალხი ძაძებში განვეულია, 26 მაისი აკრძალული უცხო ხილია.

მაგრამ ის მაინც ბრუნავს, 26 მაისი მაინც ანათებს და ერს უნათებს სავალ გზა-კვალს. ეს დღე რჩება ახლაც ისეთავე მიმზიდველ ძალათ, როგორიც იყო პირველ წლებში. ის რეალობიდან გადაიქცა იდეალათ, სინამდვილიდან საოცნებო საგნათ, მიღწეულიდან მისაღწევ ეტაპათ. ხალხი ვერ დააგდებს ამ ძველ გზას, ვერ დააგდებს იმიტომ, რომ ის მუდამ ახალია. მუდამ ცხოველია, მუდამ სანატრელია. ის ჩვენი მომავალია.

ქართველს არ ექვივრება ძებნა სამოქმედო პროგრამის, დროშის და იდეალის. ის ისტორიისაგან ბოძებულია, ის შარა გზაზე საჯაროთ, დასანახავათ ამართულია და აღსადგომათ გამზადებულია. 26 მაისი ელის ისტორიულ გარემოებათ, ხელსაყრელ ძალთა ურთიერთობას, რომ მკვდრეთით აღდგეს და საქართველოს ცხოვრების დგირტეთ ისევ გახდეს. ეს დრო დადგება, მისი მახარობელი მერცხალი შემოფრინდება და ქიკიკით გვახარებს: მოვილოცავ 26 მაისის აღდგომას! აღდგარი ერი მოიგონებს იმათ სახელს ვინც დღეს მას არ ივიწყებს, ვისაც მისთვის თავი დაუდვია, მისი ჭირი თავის ჭირათ გაუხდია.

აი ამ დიდებულ დღეს, ამ ჩვენს 26 მაის, ვდღესასწაულობთ, დიდებულს წარსულში, გამაერთიანებელს აწმყოში და გამარჯვებულს მომავალში.

26 მაისი არ მომკვდარა, არცა სძინავს, ის მოგვიწოდებს სიფხილს და ბრძოლისაკენ. არ გვმართებს უიმედობა, ახლი არის მომავალი...

ნ. ქვლდანია.



ს ა მ ა ი ს ო ზ ი ძ რ ე ბ ი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-18 წლის თავზე ჩვენ მოწმე ვართ ისეთი ამბების, შინ და გარეთ, რომელიც დიდი ომის წინა თვეებს, თითქმის წინა დღეებს გვაგონებს. 26 მაისის იმედები, ეროვნული და საკაცობრიო იდეალები თითქო სადღაც გაჰქრა და მათ მაგიერ დამკვიდრდა შიში და ღრტივნვა.

მართალია, ძველი რუსეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული აღფრთოვანება ძალიან მოკლე ვადისა იყო და იგი ჩქარა აქცია ბოლშევიკურმა ტალღამ საერთო უბედურებად. სოციალისტურ მანდილში გახვეულმა ტლანქმა ძალამ მუსრი გაავლო ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს და განთავისუფლებულ ერებს ისევ მძიმე უღელი დაადგა კისერზე.

ასე არ იყო დასავლეთში, სადაც ომის წინაც ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული თავისუფალ აზროვნებას და უფლებრივ წყობილებას. ხოლო ომის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდნენ ისინი დემოკრატიის ზედინედ გამარჯვებით. განთავისუფლებული ერები, თავის მხრით, ბეჯითად შეუდგნენ სახელმწიფო მშენებლობას დემოკრატიულ საფუძველზედ. რუსეთის ტყვეობიდან აშვებული ერებიც, გამსჭვალულნი იმავე მისწრაფებით, სწორუფლებიან წევრად შევიდნენ დასავლეთის საერთაშორისო ოჯახში.

ეს ომი უკანასკნელი იყო და არასდროს განმეორდება—გაისმოდა ყოველ მხრიდან—და გულწრფელად სწამდათ კიდევ ეს წამოძახილი. თავისუფალ ერთა ლიგა—აი რა უნდა გამხდარიყო ამ რწმენის ურყევი ქვაკუთხედი, საყვებლთა მშვიდობიანობისა და სოლიდარობის უმაღლესი სამსჯავრო.

განა ნეტარ სიხმრად არ გვეჩვენება დღეს ყველა ეს? აშკარა კონტრასტის ნათლად წარმოსადგენად საქმარისია დავასახელოთ მარტო ის ფაქტი, რომ ამ უმაღლეს სამსჯავროს ერთმა ძლიერმა წევრმა გადაყლაპა მეორე სუსტი წევრი და განმკითხავი არავინა! დაისვა კითხვა ლიგის ყოფნა-არყოფნისა, გარეტიანებული პატარა სახელმწიფოები მფარველების ძებნაში არიან, მაშინ როდესაც დიდი სახელმწიფოები თვითი თავის საკუთარ მუშტში ლამობს გამოსავალი იპოვოს.

დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ბოროტების სათავე ვერსალის ზავში იმარხებოდა: ლიგის პაქტი მხოლოდ მისი დამატება იყო და მასში გატარებული კეთილშობილი აზრები ულახათოდ ფარავდა გამარჯვებულთა განზრახვას სამარადისოდ გაე-

სადათ დამარცხებულთა უძღურება და დამცირება. ეს იყო მიზეზი, თუ რატომ უარყო პირველ დღიდანვე ამერიკამ თავისი პირმოლო, რატომ დასტოვა იგი, უფრო გვიან, დამარცხებულთა მეთაურმა—გერმანიამ. მაგრამ სწორედ ეგ გახდა სულ უკანასკნელად მიზეზი, თუ რატომ მიაშურა ენევისკენ საბჭოთა კავშირმა. მისმა ურეზერვოთ დაშვებამ ძველ დანაშაულს ახალი დანაშაული მიუმატა და რა გასაკვირია, თუ, მაგ., ლიგამ არ გაანადღა თავის თავზე საქვეყნოთ აღებული დავალება საქართველოს მიმართ.

ილიუზიების ხანამ განვლო, დადგა მკაცრი სინამდვილის ხანა, როცა ხმალი სწყვეტს კითხვას და არა უფლება. პირველი შედეგი ჩვენს თვალწინაა: ხმალმა შვა იტალიის იმპერია, ახალი ძალა, რომელიც ემუქრება უდიდეს იმპერიას დიდი ბრიტანეთისას. ომის შემდეგ, როგორც ვიცით, დიდმა ბრიტანეთმა ორი დიდი დამთბობა გააკეთა: ერთი ამერიკის, მეორე იაპონიის მიმართ: იცნო მათი თანასწორობა ატლანტიკის და წყნარ ოკეანეებზე; ესლა კი მას ეცილებიან ხმელთა შუა ზღვანედაც, ევროპაში! ეს კი მას არასდროს დაუთმია, დაწყებული ისპანიით და გათავებული გერმანიით; რა თქმა უნდა, განახლებს თავის ტრადიციულ გარსშემორტყმის ტაქტიკას ახალ მეტოქის წინამდევ.

ლოკარნოს რკალი გარღვეულია, შიდ რჩებიან მხოლოდ ინგლისი და საფრანგეთი ბელგიითურთ; იტალია გასულია, საჭიროა მისი ადგილი სხვამ დაიკავოს, ვინაა ეს სხვა? არის ორი კანდიდატი: გერმანია და საბჭოთა კავშირი.

და ბედმაც თითქო მეორეს გაუღიმა: ხალხოსნურ ფრონტის გამარჯვებით საფრანგეთში! ძველიდანვე ცნობილია, რომ ვინც არაფერს ჰკარგავს, ყველაზე უფრო გამბედავია. სტალინი აღმოჩნდა ასეთი. ქვეყნის საქმე და მისი კეთილდღეობა მას არ აწუხებდა არას დროს, თავის ბატონობის გადასარჩენად კომინტერნი უმანკო კრავად აქცია და მისი ხელქვეითი საფრანგეთის კომპარტია დემოკრატიის მხსნელად გამოიყვანა. მართალია, კომპარტია უარხეა ხალხოსნურ ფრონტის მთავრობაში შევიდეს, მაგრამ ლოიალურ და მძლავრ დახმარებას ჰპირდება მას გარედან, ქვეყნიდან, რათა საფუძვლიანად გამოუთხაროს იქ ძირი «მომქმე» სოციალისტურ პარტიას. პარიზი და მიდამოები მისი მომხრეა, სწამს, თუ ძველ მაგალითებს არ დავივიწყებთ, რომ დედა-



ქალაქი ითამაშებს გადამწყვეტ როლს მოსალოდნელ დიდ ამბებში, და ჯერ-ჯერობით ისეთ ზომიერებას იჩენს თავის მოთხოვნებში, რომ თვით მემარჯვენეთაც ხიბლავს.

სამშობლო და მისი დაცვა ჯერ კიდევ შარშან დასვა სტალინმა წეს-რიგში. წელს ის უფრო შტრსაც მიდის: ახალი კონსტიტუცია უნდა უწყალობოს საბჭოთა კავშირს. მას უნდა დემოკრატია დაიცვას არა მარტო საფრანგეთში, თავის სამფლობელოშიც, და საფრანგეთის მომავალი პრემიერი ბლუმი წინასწარ აცხადებს, ხოლო მისი ანზო პანჩო როზენფელდი უკვე ცოხნის, რომ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის დიდ დემოკრატებს რუსეთის სწორუბოვარი დემოკრატია ამოუდგა გვერდში!

მაგრამ რუსეთი ისე შორსაა საფრანგეთიდან, იმდენი სახელმწიფოა მათ შუა, რომ ბეცსაც ვერ დააჯერებთ მარტო ამ ორის, თუ გინდ, განახლებული ალიანსით დაკმაყოფილდეს. ამიტომ ბლუმი ხელს ინგლისისკენ აშვებს, ხოლო იქ ჯერ ისე არ დამთვრალან მოსკოვის ქათინაურებით და კითხვას უფრო პრაქტიკულად სვამენ. შეუძლია თუ არა რუსეთს, რომელიც თვითონ კანკალებს აღმოსავლეთის და დასავლეთის ხიფათის წინაშე, რამე საგრძობი დახმარების გაწევა? რაა მისი ნამდვილი მიზანი: ქვეყნის დაცვა, თუ სამოქალაქო ომი «მეგობარ» სახელმწიფოებში? ვინც მოსკოვის პრესას კითხულობს, მისთვის ძნელი არაა პასუხი ამ კითხვებზე: რუსეთს არ ძალუძს საგარეო ომი აწარმოოს, ხოლო ძალიან მომხრეა სხვებმა აწარმოონ იგი, რათა შემდეგ «პროლეტარიატის დიქტატურა» დაამყაროს ყველგან.

ეს ძალიან კარგად ესმის გერმანიას და მოითხოვს ჯერ დასავლეთის დაზავებას, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ თვითონ, საფრანგეთმა, ბელგიამ, პოლანდიამ, ხოლო თავდებად იგივე ინგლისი და იტალია უნდა დარჩენ. გერმანია მზადაა აგრეთვე სხვა მეზობლებსაც შეეკრას თავდაუსხმელობის პაქტით, მაგრამ საბჭოებთან მას არ სურს ასეთი რამ.

ივნისის და შემდეგი თვეების მოლაპარაკება გვაჩვენებს, ვისკენ გადისხრება სასწორი, რუსეთისკენ თუ გერმანიისკენ. თუ რუსეთისკენ გადისხრა იგი, თითქმის გარდაუვალია ახალი მრისხანე კოალიცია გერმანია-იტალია-იაპონიისა; თუ გერმანიისკენ, ზავი დასავლეთში უზრუნველყოფილი იქნება ათეული წლები... მაგრამ ორთავე შემთხვევაში, ცხადია, მიზანში ამოღებული დარჩება, უწინარეს ყოვლისა, ხმელეთის მეექვსედი.

ეს გარემოება სრულიად განსაკუთრებულ მდგო-

მარეობას ჰქმნის საბჭოთა ბორკილებში ჩაქედით ერთათვის. ჩვენ კიდევ ზევითა ვსთქვით, რომ ევროპის თავისუფალი პატარა ერნიც დიდ საგონებელში ჩავარდნილან,—რა უნდა ითქვას სხვის უღელში მგმინავ ერებზე! ესენი ხომ მოკლებული არიან ყოველ საშუალებას თავის თავზე იზრუნონ.

რუსის ემიგრანტები, ცოტა გამოკლებით, თუთუყუშივით სტალინის ლოზუნგს იმეორებენ: სამშობლო განსაცდელშია, მისთვის თავი უნდა დავსდოთ. «სამშობლოში», რა თქმა უნდა, ისინი გულისხმობენ არა ველიკოროსიას, არამედ მთელს კავშირს, არარუსებსაც. ესაა, თუ გნებავთ, მათი ერთად ერთი საზრუნავი, თორემ ისე ბრიყვი არ არიან არ იცოდენ, რომ რუსის ერს არავინ ართმევს სამშობლოს. მაშასადამე, საბჭოთა საერთო საპყრობილეს დასაცავად ისინი მზად არიან შეუტიდენ მის მეკლიტეთ, სტალინს და მის ოპრიჩნიკებს.

ჩვენ არ გვგონია, ასეთი სულისკვეთება სუფევდეს თვით რუსის ხალხში ადგილობრივ, რუსის ემიგრანტებს, სრულიად მოწყვეტილთ თავის ხალხს და თავიდანვე უარმყოფელთ მის რევოლუციურ ამოძრავებისა, არ ესმით, მათ, რა თქმა უნდა, მისი მაჯის ცემა. ესეც არ იყოს, რას მოასწავებს სტალინის ჯაპან-წყვეტა დაკვირთი წესით მოახვიოს რუსის ხალხს სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, თუ არა იმას, რომ ეს გრძობები ყველაზე ნაკლებ ბუდობს მის არსებაში? რამდენჯერ წაგვიკითხავს თვით რუსების ემიგრანტულ პრესაში ცნობა, რომ რუსის გლეხობა სწორედ საგარეო ომისაგან მოელის ბოლშევიკურ მტარვალობისგან თავის დახსნასო?

რაც შეეხება არარუს ჩაგრულ ერებს, ჩვენ არა გვაქვს საფიქრალი, რომ მათ ოდესმე, თუ გინდ, ერთი წუთითაც დავიწყოდესთ თავისი სამშობლო. მათ აქვთ სამშობლო და მისთვის თავდადება უდრის «საერთო სამშობლოს» დაშლას, დანაწილებას მრავალ ეროვნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ეს შეუთავსებლობა და ანტაგონიზმი «საერთო» და საკუთარ სამშობლოს შორის წარმოადგენს იმ «ვიწრო ადგილს», რომელზედაც მიქცეულია გარემე სახელმწიფოთა ყურადღება და შეიძლება თვით დიქტატორის დასამარების ნამდვილ მიზეზად იქცეს იგი.

მით უფრო დიდი სიფრთხილე და გამპრიახობა მართებთ ჩაგრულ ერებს და მათ ხელმძღვანელთ. მარტო ერთი მოუფიქრებელი შემცდარი ნაბიჯი ასეთ გართულებულ ვითარებაში საკმარისია, რომ გაუსწორებელი ზიანი მოგვიტანოს. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ მტერი ვერაგია და ფლიდი, ეცდენ-



ბა გამოიყენოს ჩვენი შეცდომა, არ დაერიდება პროვოკატორის როლსაც, რომ თავიდანვე ჩაფუშოს ყოველი ჩვენ მიერ დაწყებული საქმე. ერთად დარაზმვა, ერთმანეთის გატანა—ი რა უნდა იყოს კავკასიის ერთა მამოძრავებელი ბერკეტი.

გაზეთები გვაუწყებს, რომ სტალინის განზრახული აქვს ახალ კონსტიტუციამი საქართველო «დამოუკიდებელ რესპუბლიკად» აღიაროს და ის უშუალოდ შეიყვანოს მეშვიდე წევრად კავშირში. ამ «რეფორმით» ის ვერ მოატყუებს ქართველ ერს, ვერ შეარიგებს უცხო უღელთან, ვერ გათიშავს მეზობლებისგან.

სტალინის განზრახვა თუ გამართლდა, ერთხელ კიდევ დაანახვებს კაცობრიობას, რომ საქართველოს საკითხი ნამდვილი აქილესის ქუსლია საბჭოთა კავშირისთვის, მისი დაშლის და ქართველ ერის აღდგენის უტყუარი თავდები.

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ი!

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ი!

ამას წინად ქენევის დიდ საბჭოში (კანტონის პარლამენტია) საბჭოთა ერთი მეგობარი ჩივდა, რომ იტალიელებმა დროშები გამოაფინეს ადის-აბებას ალების გამო. ერთბაშად მრავალ დეპუტატის პირს მოწყდა ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა: «საქართველო!» და ბოლშევიკების ვეჟილმა მოულოდნელ თავდასხმის საპასუხოდ ამის მეტი ვერაფერი თქვა: «ჩვენ არ გამოგვიტანია დროშები, როცა საქართველო მისი სრული ნებით თუ ძალით ს. ს. რ. კავშირს შეუერთეს».

«სრულის ნებით»—რა სისულელეა! და რა საზიზღრობა!

მაგრამ უნდა შეხედოთ საბჭოების დამცველთა გაჭირვებას, როცა საქართველოს გაახსენებენ: ვერ ბედავენ, ისტორიული ფაქტის სინამდვილე იცნონ; ვერ ბედავენ სიმართლეს სახეში შეხედონ, ვერ ბედავენ აღიარონ, რომ საქართველო ხიშტებით იყო დაპყრობილი. ვერ ბედავენ ეს აღიარონ, რადგან მაშინ ხომ უნდა დაგმონ ავანკურთი მოქმედება ს. ს. რ. კავშირის, რომელსაც ისინი მუხლმოდრეკით გუნდრუკს უკმევენ...

რისთვის გელაპარაკებით, ქართველებო, დღეს—საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე—ამ შემთხვევაზე? ჩემის აზრით, ის ძალიან დამახასიათებელია. საზოგადოებრივ აზრს ესმის ახლა თქვენი ეროვნულ მოთხოვნილებათა სიწმინდე. რამდენიმე

წლის წინად კი, როდესაც ვლაპარაკობდით თქვენს ქვეყანაზე, შეგვეკითხებოდნენ ხოლმე: რატომაა, რომ კავკასიის «სლავებს», «რუსებს» უნდათ თავიანთ ძმებს გამოეყონო. არ იცნობდნენ თქვენს ძველს რასას, თქვენს კულტურას, ცივილიზაციას, რუსებს და ქართველებს ერთმანეთში ურევდნენ და არ გაეგებოდნათ. თუ რისთვის არ გინდოდნათ დამორჩილებდით პეტერბურგის თუ მოსკოვის ბრძანებას.

ხოლო დღეს საკმარისია, ვინმემ ქება შეასხას ბოლშევიკების «მშვიდობის-მოყვარეობა» ს, რომ მყისვე შეაძახონ «საქართველო! საქართველო!» და როცა გაისმის საქართველოს ხსენება, საბჭოთა დამცველი განიცდის იმავე გრძნობას, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა კაინს, როცა წარმოსთქვამდნენ მისი უმანკო მსხვერპლის, მისი ძმის აბელის სახელს.

რა მშვენიერი იყო ეროვნული თავისუფლების დღეები კავკასიის მთებში! ვიგონებ და თვალწინ მიდგია ცხვლად 1920 წლის ზაფხული, როცა ბათუმში როგორც ტფილისში, ქუთაისში როგორც მცხეთაში, ბაკურიანში როგორც დარიალში მე ვნახე, როგორ გადმოხეთქავდა თქვენი ხალხის სიხარული. გლეხები და მუშები, ქალაქელი და მთიელი, კაცები და ქალები, ახალგაზდები და მოხუცი გამოიქირებოდნენ გაბრწყინებული თვალებით, ქართული თვალებით, რომელთაც აცისკროვნებდა მადლი სიცოცხლის, ნდობა სიცოცხლის, სურვილი სიცოცხლის.

სიმკაცრე ამის გახსენება თქვენთვის ამ გარდმოხვეწილობისა და დამცირების წელს? შეიძლება, ხოლო საჭიროა ეს სიმკაცრე გამოვიჩინო. და შემოძლია გამოვიჩინო, ვინაიდან ვიცი, რომ ვერა შეარყევს რა თქვენს სიმხნევს, ვიცი, რომ სიმამაცე ქართველის პირველი ღირსებაა. დიახ, საჭიროა იმის მოგონება, რამდენიმე საუკუნის დაჩაგვრის შემდეგ აღდგენილ დამოუკიდებლობის იმ დღეებისა, როცა კავკასიის ყველა მთა-ბარში მხიარულად ფრიალებდა ნიაზე თქვენი ამჟამი ეროვნული დროშა.

საჭიროა ამის გახსენება, რადგან ეს არაა მხოლოდ გარდასრულის დღეები, არამედ ეს არის აგრეთვე დღეები მომავლისა. დღეს ვცხოვრობთ ისეთ დაცემის ხანაში, როცა როგორც სხვა დროსაც ძალა უფლებას სჩაგრავს. მაგრამ გადახედეთ ისტორიას და დაინახავთ, რომ მიუხედავად აწინდელი სიმწარისა, კაცობრიობა ნელ ნელა მაინც წინ მიდის. მან დღეს სამი ნაბიჯით უკან დაიხია, მას შემდეგ რაც ოთხი წინ გადადგა. არასოდეს უნდა დავკარგოთ კაცობრიობის რწმენა და განსაკუთრებით არასოდეს უნდა დავკარგოთ რწმენა სამართლიანი საქმის, რო-



მელიც არასოდეს დაიდუბება, თუ მისთვის გული ძვრს.

და თქვენი გული ხომ ძვრს თქვენი წმინდა საქმისთვის, საქართველოსთვის. როდესაც ხალხები დაიღლებიან, მოწყინდებთ და მობეზრდებთ როგორც უკიდურეს მემარჯვენეთა ისე უკიდურეს მემარცხენეთა ძალადობა, ისინი დაუბრუნდებიან საგანთა უფრო სამართლიან შეცნობას, უფრო სისწორით შეიგნებენ უფლებას. ეს დღე იქნება საქართველოს გამარჯვების დღეც, და შეგვეძლება ღრმა სიხარულით ვიდღესასწაულოთ თქვენი დამოუკიდებლობის წლის თავი, რომელსაც დღეს გარდმოხვეწილობასა და გაკვირებაში დღესასწაულობთ.

თქვენი Jean Martin.

ს ი მ ზ ო ლ ო მ ა ი ს ი ს ა

მიჰკრიან დღენი! მიესვენებიან საუკუნეთა მწყვდიადისაკენ კოსმოსის უჩინონი და დაფარულნი ქამთალრიცხვანი! გადადიან დრონი დასასრულსა ზღვისასა...

სამყაროს ორნატით აღინიშნება დედამიწის შვილთა ნაღვაწი და ნამოქმედარი... ზრახვათა, ფიქრთა, თუ ნატვრათა აღსრულებადა და შეუსრულებლობადა... ჩადენილი საქმენიდა და ნაწადი ზმანებანიცა...

ამავე წესის დაქვემდებარებით გადაჰყვა ისტორიას უდიდესი დღე ქართველი ერის ცხოვრებისა— 26 მაისი.

მაგრამ რაც უფრო დიდი მანძილით ვიმიჯნებით ამ ისტორიულ თარიღიდან, მით უფრო მეტად ვებმით მასთან სულიერად, ემოციურად; მით უფრო გვიახლოვდება ის მთელისთვის თვისი რეალობით და გარდაუვალი მნიშვნელობით! ეს დღე არის ცხოველი სვეტი და ფესვი მისნი გარდამულარიან ყოველმამულიშვილის გრძობასა და შეგნებაში.

26 მაისი გადავიდა ქამთადენაში იმდენად, რამდენადაც მტერმა აღკვეთა მისი სახისა და სავესების ცხადება; ხოლო იგივე დღე აწმყოში იმყოფება და სინამდვილეს დასტრიალებს იმდენად, რამდენადაც ქართული ეროვნული და პოლიტიკური ჰაზროვნება აღვისილი არის მის რევენდიკაციის გარდაწყვეტილებით, თუ ქრონოლოგიამ 26 მაისი თვრამეტიწლით აგვაშორა, სულიერი განცდით იგი უკლებლივ განუშორებელია ჩვენგან. ამიტომ 26 მაისი მთელისთვისისი შინაარსით აწმყოს ეკუთვნის,

26 მაისი სიცოცხლის, უნარის, ნიჭის, მოქმედების განცხადებაა! მისი სახელით დღემუდამ მიიმართება განთავისუფლების ბრძოლა შინაცა და გარეთაც; განა შეიძლება ასეთი დღე სამატიანოდ გადიწეროს?!

26 მაისმა მიმქრალი და მიღუნებული იდეა განაცხოველა; მან შთაჰბერა ერს ის ცხოველყოფელი სული, რისი მეოხებითაც ქართული სახელმწიფოური შემოქმედება, ჯერ კიდევ პრაქტისტიანულ ხანიდან დაწყებული, შემტკიცებული ნებისყოფით ასხივონებდა ხალხის ცხოვრების თვითუღდარგს.

26 მაისით ქართველი თავისი უფალი შეიქმნა! «ქართლის ცხოვრება» კვლავ გადიფურცლა ქართულ ამბავთა მოსათხრობადა და ასაკინდა.

26 მაისით ჩვენ შევეგძენით მთელი სიმძაფრე უჩინარი ძაფებისა, რომლებითაც გადაბმულნი და შეთვისებულნი ვყოფილვართ საქართველოს სახელოვან წარსულოთან...

26 მაისმა ბრწყინვალეობით ააქროვა ქართულს თავისუფალ ცაზე ყოველად ნათლით შემოსილი დიდი თამარის სახელი,—მაისთან გადაბმული, მაისობით აღბეჭდილი, მისად ქცეული...

26 მაისის შესაძლებლობა, მისი გაგება და შეცნაურება თამარ მეფის საქართველომა ჰქმნა... ბინდიან დღეთა სიმწუხრეში ხომ ნიდავგ ამასვე ეთაცვანებოდა და ენუჯერებოდა სასო მიხდილი ქართველი:

და ვით განვილილსა  
სიზმარსა ტკბილსა,  
მწეს, დიდებულად ჩასვენებულსა,  
ვიგონებთ შენს დროს...

26 მაისი ჩაქსოვილი არის სხვა თარიღშიაც, ამავეთვის რომ ერთვის: პირველი მაისი—თამარ მეფის დღე—არის დღე შრომისაც; მართალია ამ უქმედლით უმეტეს ნაწილად აღინიშნება სპეციფიკური სოციალი კათეგორია, რომელიც მოწოდებული არის კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობად და რომელიც გამოჰყოფს და აღამაღლებს საზოგადოებრივი წრის მხოლოდ ერთ ელემენტს,—თვინიერ ამისა მცნება შრომისა განყენებულად, ან, როგორც იტყვიან, an und fuer sich თანაბრად პატივშემოსილია... ნივთიერი და გონებრივი წინსვლაც ამ იდეაზე არის დაფუძნებული! ამითვე—რა თქმა



უნდა—მიიზიდება მთელი საკაცობრიო კულტურაც!..

თაობათა მუყაითობა და დაუღალავმა შრომამ იხსნა ქართველობა გარსემმორტყმულ აღურიცხველ მტერთა განადგურებისაგან და სწორედ ამ კეთილშობილი ერთობლივი გარჯით აღმოცენდა უწინ ოქროს ხანის სასწაულებრივი ფენომენი და ესლაკი ის სახელოვანი ეპოპეა, რომელშიაც ჩვენც სიმდაბლითა და კრძალულებით ვმონაწილეობთ.

შრომის ვადებით გამოიცნობიან სოციალი ერთეულების შემადგენელი ნაწილები, ხოლო ფორმულა: «ვინც არა შრომობს, არც უნდა სუამდეს», არც «ციკსა» და არც რომელიმე სხვა ფსევდონიმს შეუთხზავს, არამედ სიტყასიტყვით ამოღებული არის მოციქული პავლეს სწავლებიდან (თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლე. ვ. 10).

ქართული მაისი სამი მცნებისაგან შესდგება და მათი სინტეზი განაარსებს მომავალ თვითმყოფობის სახეს: შრომასა, თავისუფლებასა და ძლიერებას! ესევე იქმნება ნიშანი მტრის შემუსვრისა...

რ. ინგილო.

**«დედა-მიწა მაინც გრუნავს!»**

ბოლშევიკებმა საქართველოს სამხედრო ოკუპაციის 15 წლის თავი იდღესასწაულეს, 15 წელი ქართველი ერის წამების, გაჭირვების, ლატაკობის, აონრების, ღირსების ახდის, დამონების, საქართველოს რუსეთის კალონიად გადაქცევის, ქართული ეროვნული კულტურის და შემოქმედების დასამარების—და მოსკოვიდან ჩამოსულმა ვოროშილოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით მიულოცა ბორკილებში ჩაქედილს ერს ეს უბედური დღე და ერთხელ კიდევ, ჩვეულებრივი რუსული სიტლანქით და თავხედობით დასცინა საქართველოს თავისუფალს, თავისთავის პატრონს, ამაყს, ღირსება-მოსილს, როცა ხანგასმით მოაგონა ქართველებს სტალინის სიტყვები, 1920 წელს თქმული: «აგრე წოდებული დამოუკიდებლობა საქართველოსი, სომხეთის, პოლონეთის, ფინლანდიის და სხ. არის მხოლოდ მომატყვილებელი გარეგნულობა, რომელს უკან იმალება დამოკიდებულება ამ—უკაცურავად პასუხია—სახელმწიფოების სხვადასხვა ჯგუფის იმპერიალისტებისაგან»...

ღიან, საქართველო სუვერენული, თავისუფალი და ქართველი ერი—ერი, ერი ბენდიერი ბოლშევიკებისთვის «უკაცურავად პასუხია», დასაცინავი და მიუღებელი. მათვის არსებობს მხოლოდ რუსის წითელ არმიელის ქუსლებს ქვეშ მოქცეული, გასრესილი, ცოცხალ-მკვდარი საქართველო.

ესა მათი ბუნება, ასე ესმით ეროვნული საკითხის გადაჭრა.

ბოლშევიზმი და ეროვნება, ეროვნული დამოუკიდებლობა ერთი მეორეს გამორიცხავს, ერთმანეთს ვერ შეეგუებიან!

და ქართველი ერიც ვერასოდეს შეიგუებს და შეურიგდება ბოლშევიზმს, ერი სახელოვანი ისტორიის, დიდი კულტურის, თვითმყოფობის და თავადებული გმირული ბრძოლების ნაციონალურ სახეობისა და თავისუფლებისათვის.

და დღეს 26 მაისს, საქართველოს აღდგენის დღეს, საპასუხოდ 24 თებერვალს ოკუპანტების გადახდილ დღესასწაულისა, ქართველი ერი ისევ ღალადებს: «დედა-მიწა მაინც ბრუნავს!»

ქართველი ერი არ უღალატებს თავის ეროვნულ ისტორიულ ტრადიციებს. თავისუფლებამ შექმნა მისი დიდება, სიძლიერე, ნიჭი, სიმდიდრე, განმათავისუფლებელმა ბრძოლებმა გამოსქედეს მისი სული, განამტკიცეს მისი მკლავი, და არასოდეს, არასოდეს დარჩება სხვისი მონა.

ქართველი ერი კვლავ აღსდგება.

საქართველოს თავზე თავისუფლების დროშა კვლავ აფრიალდება!

ხ. დირცხალავა.

**მარშალ პილსუდსკის  
გარდაცვალების წლის თავი**

ერთმა წელმა განვლო მარშალ იოსებ პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ. ეს ხანა მეტად მოკლეა, რომ შეიძლებოდეს რაიმე სრული მიმოხილვის გაკეთება, მაგრამ ცხოვრება და ისტორიული როლი მიცვალებულ მარშალის ისეთი მკვეთრი და ნათელია, და ამასთანავე ისეთი მძლავრი და ღრმა გავლენა მოახდინა თავის თანამედროვეებზე, რომ დღესაც შეგვიძლია შეუდგეთ ობიექტიურ კვლევა-ძიებას და დასკვნების გამოტანაც ვიკისროთ.

დღესვე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ პოლონეთი მიჰყვება იმ სწორ გზას, რომელზედაც ის დააყენა ამ დიდმა ადამიანმა.





თავის ათასწლოვან ისტორიის მანძილზე პოლონეთს ჰყავდა მრავალი შვილი, რომელთაც უდიდესი როლი ითამაშეს როგორც თავის ისე სხვა ერთა ისტორიაშიც. მათ შორის პირველი ადგილი უეჭველად მარშალ იოსებ პილსუდსკის ეკუთვნის. მისი არსება გადასცდა თავის ქვეყნის საზღვრებს და გარდაიქვა სიმბოლოდ კეთილშობილურ თავგანწირულ ბრძოლისა სიმართლისათვის, დაჩაგრულ სამშობლოსათვის. ამიტომაცაა თვითეთელი ჩვენთაგანისთვის მისი სახე ასეთი ახლობელი, გზის მაჩვენებელი.

მარშალის მთელი ცხოვრება გვასწავლის, რომ მტკიცე, ურყევი რწმენა გადალახავს ყოველივე დაბრკოლებას და გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

დაბადებული 1863 წლის სისხლში ჩამრჩვალ აჯანყების ხანებში, როს თვით ფიქრი დამოუუკიდებლობის იძულებით ჩაიმარხა მიწაში, იოსებ პილსუდსკი ჯერ კიდევ ბავში გატაცებით ოცნებობს დამოუკიდებელ სამშობლოზე და ამ იდეალს ემსახურება, შეაღწევს მთელს თავის მდიდარ სიცოცხლეს.

წინააღმდეგ ყოველივე დაბრკოლებისა საკვირველ სიმტკიცით მიისწლადის დასახულ მიზნისაკენ. გამარჯვების რწმენით აღსავსე, დაუშრეტელი ენერჯის და საოცარი უნარის მქონე მდგომარეობის გამოცნობა-შეფასებაში, მიიყვანს თავის მისწრაფებას ბოლომდე. ეს კი ადვილი არ იყო, ყველაფერი ხელს უშლიდა, ხშირად განიცდიდა ისეთს წუთებს, როს იძულებული იყო აუარებელი შრომა და ძალა დაეხარჯა არა მტერთან ბრძოლაში, არამედ თავის თანამემამულეთა შეგნებისათვის, ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერ ბევრნი იყვნენ, რომელთაც არ სწამდათ პოლონეთის აღდგენა, არა გაეგებოდათ რა მისი განხრახვის.

მისმა მუშაობამ გამოიღო უდიდესი ნაყოფი. დაწყებული საქმე სრული გამარჯვებით დამთავრდა. ოცნება ციმბირის ყინვა სიცივეში წამებულ-დატანჯულთა და ნატვრა ბავშვისა სინამდვილედ გადაიქცა.

დაფლეთილი, სისხლით მორწყული პოლონეთი დღეს უკვე აღმსდგარი, უდიდეს ერთა რიგებში დგას და მის ხმას ანგარიშს უწევენ უძლიერესი სახელმწიფოები.

გამარჯვების შემდეგ მარშალი პილსუდსკი არ ისვენებს. განაგრძობს დაუღალავ მუშაობას, რათა მკვდრეთით აღდგენილი სამშობლო განამტკიცოს,

გამაგროს, გააძლიეროს, მოუპოვოს სრული განვითარების და აყვავების პირობები. რამდენიმე წლის განმავლობაში პილსუდსკი ფაქტიური უმაღლესი ხელმძღვანელია სახელმწიფოსი და ამავე დროს ამხადებს მთელს კადრს, რომელსაც მომავალში უნდა განეგრძო მისი შრომა. ამიტომაც მისმა სიკვდილმა, რომელმაც მთელი პოლონეთი უმწვავეს გლოვით აღავსო, ვერ შესცვალა გეზი მის მიერ აღებული. პოლონეთს დღესაც ისე როგორც მის დროს ახასიათებს დიდი სიღინჯე და უაღრესი შეგნება სინამდვილის, და ეს როგორც შიგნით ისე საგარეო პოლიტიკაში. კვლავ ემსახურება მაღალ ეროვნულ იდეალებს და აქვს უნარი, ეს იდეალები სინამდვილეს გადააბას და დაუკავშიროს.

პოლონეთი იგივეა დღეს, რაც მარშალის ცხოვრებისას იყო. მას ესმის, რომ ყველა ამ ქვეყნად მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს და ამიტომაც ცდილობს ძლიერების მოპოებას. საკუთარი გამოცდილებით იცის, თუ სისუსტეს რა შეიძლება მოჰყვეს.

განსვენებულ მარშალში ორი ადამიანი იყო: ერთი მემკვიდრე განმათავისუფლებელ ტრადიციების და დამოუკიდებლობის ბრძოლისა, მეორე მშენებელი და შემომქმედი თავის ქვეყნის. ეს ორგვარი რამ ახასიათებდა აგრეთვე მთელს მის ხანას, ხოლო თანდათანობით, იმისდამხედვით რაც იზრდება ახალი თაობა, დიადი დრამა პოლონეთის და მისი გმირული ბრძოლები განთავისუფლებისათვის ხდება ისტორიის მემკვიდრეობად. პოლონეთში ცხოვრება ნორმალური გზით მიმდინარეობს და დღეს მთელი ხალხი მუშაობს დიადი, ძლიერი, ყოველ მხრივ წარმატებული პოლონეთის შექმნისათვის.

მიუხედავად თვისი დღიურ ამოცანებისა დღევანდელ პოლონეთს ასხივოსნებს კვლავ უკვდავი მარშალის სული, თვით თავისუფალი ის არ იგიწყებს მონობაში მყოფთ სხვა მებრძოლ ერთა ბელს და ამიტომაც არის, რომ დიდი თანაგრძნობით და სიყვარულით ეპყრობა ჩვენს საკითხსაც.

ბუნებრივია, რომ დღეს, როდესაც მთელი პოლონეთი ღრმა გრძნობით და მოწიწებით იგონებს თვის უკვდავ შვილს, ყოველი ქართველის გულიც და სულიც აღსავსეა ამავე განცდებით.

დ. შ.







ი მ ე დ ი თ ღ ა რ უ მ ე ნ ი თ

ქვეყანა არეულია: მზე აღარ მზეობს, მიწა უკუმა ბრუნავს;

ქვეყნელი ზესკნელს ეხეთქება, ქაოსია, ბნელა...

მრისხანებს ყოველივე: არსად თავშესაფარი, არსად მყუდროება;

იძირება გემები, იღუპებიან ადამიანები, იღუპება ყოველივე მაღალი, ფაქიზი, მომხიბლავი...

სიტლანქე, ბარბაროსობა, გაიძვრობა ეუფლება ქვეყანას.

იოგველივ უდაბნოა, უდაბნო გულშემზარავი...

იტანჯვის სული, ისერება გული...

ვიხრჩობით, ვიხრჩობით...

ასე კენესის გაყინულ ოკეანეს ნაპირებისაკენ გადატყორცნილი, ჭენჭყოებში ჩაქეტილი, დევნილი ქართველის ობოლი სული. მას უყვარდა სამშობლო, მისი თავისუფლება. ამისთვის აწამეს: დაუნგრისე ოჯახი, ცოლშვილი დაუხრცეს, ნივთიერი დოვლათი გაუნიავეს, ჩაქედეს ხუნდებში, პირზე კლიტე დაადვეს და შორს გაყინულ ოკეანეს ნაპირებისაკენ გადაისროლეს, სადაც ზაფხულობით კოლოების სამეფოა და ზამთრობით თეთრი დათვების. მაგრამ ყოველივე ამან ვერ აღმოფხვრა ქართველის გულიდან სამშობლოს სიყვარული. წამებამ კიდევ უფრო შეაყვარა ის, რისთვისაც აწამებდნენ, გაღებულმა მსხვერპლმა კიდევ უფრო გააფებინა მისი მისწრაფებანი და განამტკიცა რწმენა დაკარგულ თავისუფლების დაბრუნებისა. ქართველი, დევნილი სამშობლოსათვის, იტანჯვის სამშობლოს ტანჯვით. მისთვის ჭეშმარიტად «მზე აღარ მზეობს, მიწა უკუმა ბრუნავს», რადგან მისი სამშობლო ტყვეობაშია და თვით იგი მისგან შორს უცხო მხარეში ჩაქეტლი.

სამშობლოს ტყვეობა განხარკდივდა. რაც დრო გადის, იგი უფრო და უფრო ძიძმე ხდება, რადგან მტერი გაბოროტებული,—რომ შიშით ვერ შექმნა სიყვარული,—უფრო და უფრო დაუნდობელი და სასტიკია. მაგრამ ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალს, რწმენითაა აღზნებული ჩვენი სული.

ცრუ იმედი მავნებელია, ბრმა რწმენა მით უმეტესი. იმედი რეალობაზე დამყარებული თვით სიცოცხლეა, რწმენა აზროვნებით გაშუქებული მისი მამოძრავებელი, მისი სტიმული. ჩვენც რეალობას ვემყარებით, კრიტიკულად ვაზროვნებთ და ვამბობთ—საითაც არ უნდა მიმოვიხედოთ, შიგნით თუ გარეთ, ყველაფერი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისთვის ლაპარაკობს.

გადავაყოლოთ ზოგადად თვალი და შევაფასოთ—რა ხდება შიგნით საქართველოში და მის გარეთ. საქართველოში ორი გარემოებაა ხაზგასმით აღსანიშნავი.

პირველი: ხალხი, მიუხედავად უსაზღვრო და ხანგრძლივი რეპრესიებისა, არ ვატყდა. იგი ტრადიციული სიამაყით და სიმხნევით იბრძვის თავისუფლებისათვის. და ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ზედმეტად ამტკიცებს, რომ თუ მარტო სულით ხიშტები ვერ

უკუიქცევის, ვერც მარტო ხიშტებით სული დაიპირების, და მით უმეტეს ისეთი ჭირნახული ერის სული, როგორცაა ქართველი ვრი, რომლის მეობა თვით-აზრებობისთვის უსაშინელეს ბრძოლაში გამოიქცედა.

მეორე: მტერი სავსებით გაკოტრდა, ვერ გამოიჩინა ვერავითარი უნარი ხალხისთვის რაიმე დადებითი მიეცა. მეორე ათეული წელი სრულდება, რაც ბოლშევიზმი ქვეყანას ფლობს და ჩვენ ვერ ვხედავთ ცხოვრების ვერც ერთ დარჯს მოწყობილს, დალაგებულს, წარმატებულს. პირიქით, ყველაფერი იშლება, ნადგურდება. ნადგურდება თვით სიმდიდრის შემქნელი, წყარო ყოველგვარ ღირებულებაშია, სახალხო ენერჯია. ისეთი მტაცებლური ექსპლუატაცია, რომლის ობიექტიც დღეს ის არის, კაცობრიობას არ ახსოვს (სტახანოვშიც).

აი რას მოგვიტობს «კომ.»: «ხელფასის საკითხის ძველებურად გადაჭრა არ შეიძლება. სამეურნეო მუშაკებმა, დირექტორებმა, საამქრო უფროსებმა, ოსტატებმა უნდა შეისწავლონ თვითეული მუშა და დაუწესონ მას ხელფასი მისი უნარის მიხედვით. ხელფასი ზედმიწევნით ინდივიდუალური უნდა იყოს. პროგრესიულმა სანარდო ანაზღაურებამ უეჭველად დიდი როლი ითამაშა შრომის ნაყოფიერების გადიდებაში» (ქარ. «კომ.» 29 დეკ. 1935 წ. ს. ორჯონიძის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ. ის პლენუმზე). შრომის სანარდო პროგრესიული ანაზღაურება ეკონომიური უაზრობაა, რადგან დროებით შესაძლოა პროდუქციის რაოდენობა გაიზარდოს, მაგრამ თვისებით იგი უეჭველად პროგრესიულად დაეცემა. რამდენ მეტს გამოიმუშავებს მუშა, იმდენი მეტი ენერჯია დაეხარჯება. რამდენ მეტ ენერჯიას დახარჯავს, იმდენად უფრო დაიღლება, იმდენად ნაკლები ყურადღება მიექცევა პროდუქციისთვის. ეს ფსიქო-ფიზიკური კანონია, რე მისი წინამდევ უძლურია რეპრესიები, ან სხვა რაიმე ღონისძიებანი. და ეს კანონი მით უფრო მკვეთრია, რაც უფრო ორგანიულია სამუშაო, რაც უფრო ნაკლებად ექვემდებარება მტკიცე მექანიურ კანონებს. ასე რომ ეკონომიური თვალსაზრისით, ეგრედ წოდებული სტახანოვშიცა დიდი უარყოფითი მოვლენაა. იგი შლის მუშას ფიზიკურად, მორალურად, ფიტავს მის ენერჯიას და უკარგავს პასუხისმგებლობის გრძობას. აქედან: სახალხო მეურნეობის მოშლა და მრავალი სხვა უბედურება. და ჩვენ რომ სავსებით მართალი ვართ, —ამას თვით ქარ. «კომ.» ადასტურებს. «ჩვენი ფაბრიკები შეიარაღებულაა მოწინავე ტექნიკით, მათ აქვთ ნედლეული, ყავთ დამკვეთები, სტახანოველები, მაგრამ მაინც გრძელდება წუნდადებული პროდუქციის გამოშვება. დიდა არა ხარისხიანი პროდუქციის რაოდენობაც»...

რასი უნდა ვეძებოთ წუნის მიზეზი?—პირველი ყოვლისა მუშათა დაბალ კვალიფიკაციაში, სამუშაოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებაში, ნედლეულის დაბალ ხარისხში, შრომის ცუდ ორგანიზაციაში, მოკლედ სუსტ სამეურნეო ხელმძღვანელობაში. ნედლეულის მიმწოდებელი ორგანიზაციე-





ბი წმირად სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ კარგი ხარისხის ნახევარ-ფაბრიკატების დამზადებაში...

ჩვენს საწარმოებში განა ცოტა მოიპოვება მოლაყებები, რომლებიც თათბირზე ლავა-შლავაში სიტყვებით გამოდიან და ლაყობენ—კარგი მდგომარეობა გვაქვს, წუნი მოვსპეთო. ნამდვილად კი ეს ხალხი მხოლოდ სიტყვებით ბუშტებით და კორიანტელით «იბრძვის» პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის» («კომ.» 28 ოქტ. 1935).

აქ ყველაფერია ნათქვამი: არა ხარისხიანი პროდუქცია, შრომის ცუდი ორგანიზაცია, მუშის უპასუხისმგებლობა, ცარიელი სიტყვა საქმის მაგიერ და სხვა. და ეს სენი უკუბრუნებულია, რადგან თვით სათავეა მოწამლული. უპასუხისმგებლობის გრძობა მხოლოდ თავისუფალ პიროვნებას მოეთხოვება. სოციალური შრომის ორგანიზაცია სოციალურ მიზან-შეწონილობას უნდა ექვემდებარებოდეს, ეს (მიზან-შეწონილობა) კი მოითხოვს ადამიანის ადამიანურ პირობებში ჩაყენებას, მის ფიზიკურ და მორალურ ძალღონის დახმავას. წინამდებ შემთხვევაში იწყება სოციალური დეგრადაცია და ქვეყნის უფსკრულისაკენ დაქანება. ეს დღეს კარგად აქვთ შეგნებული ლიბერალებსაც კი. ამიტომ შრომის ჰიგიენას მოწინავე ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა. ეს ჰიგიენა კი მოითხოვს უპირველეს ყოვლისა მუშის ენერჯის ნორმალურ, არა გადაჭარბებულ ხარჯვას. მაგრამ, გარდა ამ პრაქტიკულ მოსახრებათა, მორალურადაა მიუღებელი, რომ მუშა მეწველ ფურად იქნეს გადაქცეული. წარმოება ადამიანისთვისა და არა წინამდებ ადამიანი წარმოებისთვის გაჩენილი. ბოლშევიკების სანარდო პროგრესიული ხელფასი კი აყენებს მუშას უარეს მდგომარეობაში, ვიდრე იყვნენ შავკანიანი მოწინააღმდეგეების პლანტატორების ხელში. და ასეთი მდგომარეობა განა შეიძლება საბოლოოდ დამკვიდრდეს?! რასაკვირველია, არა. დაჩაგრული ყოველთვის დამჩაგრულის მტერია. და ხალხიც ბოლშევიკების მტერია, მათ შორის უფსკრულია გათხრილი. ამ გარემოებას თვით ბოლშევიკებიც ვერ ფარავენ.

აი რას მოგვითხრობს ვ. მოლოტოვი: «ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში გადაშენდნენ თავიანთი კლასობრივი ბუნებით ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები. ისინი ჯერ კიდევ ცოტაა და დარჩენ. ეს ელემენტები რევოლუციურ სიფხიზის ოდნავ შესუსტებასაც კი იყენებენ, რათა წაგვიხდინონ საქმე და შეაფერხონ ჩვენი მსვლელობა. არ შეიძლება აგრეთვე იმის დავიწყებაც, რომ წვრილობურყუაზიული სტიქია ცოცხალია, რომ მშრომელ გლეხთა-კომუნურნეთა შორისაც კი ჩვენი სახელმწიფო აპარატის მოსამსახურეთა მასაში. ხოლო ზოგჯერ მუშებს შორისაც იგი თავის გამომხატველებს ადვილად პოულობს ხან ყოველგვარი სპეკულიანტების სახით, ხან საკომუნურნო და სახელმწიფობრივი დოვლათის წამლეჯეთა სახით, ხან ანტისაბჭოთა ჭორიკანობის სახით და სხვა ამგვარი» («კომ.» 14 იანვ. 1936 წ.).

ვინც ბოლშევიკების ქარგონს იცნობს, ამ სიტყვებიდან ნათლად დაინახავს თუ რამდენად დიდია ხალხის სიძულვილი ხელისუფლებისადმი.

ბოლშევიკური პრაქტიკა ზედმეტად ამტკიცებს იმ ქეშმარიტებას, რომ რეპრესიებით შეიძლება ხალხის ფიზიკური დათვუნვა, მაგრამ მისი გულის მოგება არასოდეს. ხალხს შემოქმედებითი საქმიანობა ესაჭიროება. შემოქმედება კი თავისუფლების გარეშე შეუძლებელია. «ყველაფერი ხალხის მიერ და ხალხისათვის», — აი ის ბრძნული პრაქტიკული ფორმულა, რომელიც სახალხო მოძრაობათა გამოცდილებამ გვიანდერძა. მაგრამ ამ ფორმულას ბოლშევიზმი ვერ მიიღებს, რადგან იგი ბოლშევიზმის არსებითი უარყოფაა. ბოლშევიზმს გამოსავალი არ აქვს, მან ხმალი აიღო, ხმალით ბატონობს. ხმალითვე ამოხდება სული. ასეთი უნუგეშოა მისი მდგომარეობა ხალხში. არ არის უფრო სანუგეშო მდგომარეობა არც თვით კომუნისტურ პარტიაში შიგნით. ს. არუთინოვი საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი მოგვითხრობს: «პარტდოკუმენტების შემოწმებამ ჩვენს რაიონშიც დაადასტურა, რომ პარტიის რიგებში ფარულად და ყალბი გზით შემომძვრალებდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები, კლასობრივი მტრის აშკარა აგენტები, ყოფილი ოპოზიციონერები, ყულიკები და გაიძვერები... სტალინის რაიონის რაიკომის ბიუროს დადგენილებით შემოწმების შედეგათ პარტორგანიზაციიდან გაირიცხა და პარტდოკუმენტები ჩამოერთვა პარტიის 329 წევრს და 125 კანდიდატს, რაც შეადგენს პარტორგანიზაციის წევრთა საერთო რიცხვის 16,8 პროცენტს».

ბოლშევიკები დაუსრულებლად სწმენდენ პარტიას, მაგრამ იგი მუდამ გასაწმენდია. სჩანს ის ისეა დანაგვიანებული, რომ მისი საბოლოოდ გაწმენდა შეუძლებელია. ნათქვამია თევზი თავიდან აყროლდებო და კომუნისტური პარტიაც შიგნიდან იხრწნება. მართალია ეს პარტის ხანგრძლივია, მაგრამ მისი დასრულება აუცილებელია. ყალბი გამოსავლები წერტილი ყოველთვის ყალბ შედეგებს იძლევა. ბოლშევიზმი ხომ სულ ცარიელი სიყალბეა. ის რეპრესიებით ბოგინობს. მიეცით ხალხს თავისუფლება და ბოლშევიზმიც თოვლივით გადნება...

ჩვენ შეგვეძლო კიდევ ბევრ რამეზე მიგვეთითებია, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად უნუგეშოა ბოლშევიკური ხელისუფლების მდგომარეობა შიგნით საქართველოში. თუ საქართველოს გარეთ მიმდებარედავთ, აქაც მოსკოვის მდგომარეობა ვერაა სახარბიელო. ჩვენ საერთაშორისო ურთიერთობის დეტალურ განხილვას არ შეუდგებით. ეს არ შეადგენს ჩვენი წერილის საგანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, მიუხედავად აუარებელი თანხების ხარჯვისა, ინტენსიური პროპაგანდისა, პოლიტიკური ინტრიგებისა და სხვა, მოსკოვმა მსოფლიოში ვერ პოვა დასაყრდნობი ბაზა ბოლშევიზმისთვის უნივერსალური ხასიათი მიეცა. იმ მოწინავე ქვეყნებშიც კი, სადაც კომუნისტური მოძრაობა, ასე ვსთქვათ, ფეხს იკიდებს (მაგ. საფრანგეთში), ეს მოძრაობა სავსებით თავისე-





ბურია, რუსულ ბოლშევიზმს არ წაგავს. ასე რომ მოსკოვი იდუადა გარყულია, მაგრამ მართლ პასიურ გარყვას არ აქვს ადგილი. ბოლშევიზმის წინამდებე აქტიურად ირანებმა ყველა თავისუფლების მოტრფილდე, სიცოცხლეს მოწყურებული ძალები. ამ ორმა ძალამ დღეს თუ არა სვალ ერთი მეორეს გადამჭრელი ბრძოლა უნდა მისცეს. სამართლიანობა, ქემმარიტება ბევრჯერ ყოფილა წამოწეჭებულო, მაგრამ საბოლო გამარჯვება ყოველთვის მას რგებია. არის კათეგორიული იმპერატივები, რომელსაც ადამიანი, თუ ის ადამიანობს, ვერ დათმობს. ერთი ასეთ იმპერატივთაგანია თავისუფლება. კაცობრიობა უფსკრულის პირას უნდა იყოს მიმდგარი, მსოფლიო მხოლოდ გიჟთა და ტუტუტთა სათარეშო მოედანი, რომ საბოლოოდ დამარცხდეს თავისუფლება, ქემმარიტება და სამართლიანობა. ჩვენ იმედით შევეყურებთ მომავალს, რწმენითაა აღზნებული ჩვენი სული. ჩვენ გვწამს, მალე დაჩაგრულნი ერთი აღსდებნიან და მათ შორის ჩვენი ერიც, და ჩვენ გვექნება ბედნიერება თავისუფალ საქართველოში თავისუფლად, ჩვენებურად ვიდღესასწაულოთ 26 მაისი.

ილია ნუცუბიძე.

### გარკათი ქართველ მანდილოსანს

ახრებულმა შემთხვევამ ისურვა, რომ რამდენიმე თვე პირინების ერთ-ერთ მყუდრო მთაზე გაუნებულ აგარაკზე გამეტარებინა. ერთ კვირა დღეს დიასახლისმა ჩემთვის სრულიად უცნობი პიროვნების, სამთამადნო ინჟინერ X-ის და მისი მეუღლის ვიზიტი მაუწყა.

განცვიფრება ვერ დაფარე, როდესაც ოთახში ფეხი შემოსდგა ერთ-ერთი მხატვრის ნაწარმოებ «ქართველი ქალი»-ს ცოცხალმა განსახიერებამ, და დიდი ხნით უხმარი, უანგ შეკიდებულ ქართული ხმით მომმართა:

— პროფესორ დიოდონესაგან გავიგეთ, რომ თქვენ ერთი ქართველი აქ იმყოფებით. გულმა არ მომიტმინა, რომ არ მოვსულიყავ; მეც ქართველი ქალი ვარ და ეს კიდევ ჩემი ქმარია, საქართველოში ხანგრძლივად ნაცხოვრები, გულით ქართველია, მაგრამ მანაც ფრანგია. ქართული ცოტა კიდევ იცის, ბევრი დაავიწყდა.

აქ საუბარში ავტორიტეტულად ჩაერია «ქართულ გულიანი» ფრანგი: «ქეთევან, non, ne dits pas ca—და ქართულად—ქართველი არ დამავიწყდა მკერდში სულ დაწერილი ყველაფერი, seulement—ენა აღარ მორჩილდება მე».

ძნელი წარმოსადგენია, როგორის მოხდენილი სილამაზით თავს ძალას ატანდა ეს ივერიით მოხიბლული უცხოელი, რათა ქართული ფრანა შეედგინა.

ქალბატონი ქეთევანი და ბატონი X-იც უალრესად დაინტერესებულნი იყვნენ, სრული სისწორით მოესმინათ საქართველოს ამბები მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე. დღიდან მათ მიერ საქართველოს

დატოვებისა, ომის დაწყების წინ, მათ არ მისცემიათ შემთხვევა რაიმე ქართული წერილი თუ გამოცემა წაეკითხათ, მუდმივი მოგზაურობისა გამო.

რამდენსამე საათს ვისაუბრეთ. მეც ვუამბე მოკლედ: 1917 წელი, რევოლუცია, 26 მაისი, სამი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ განვლილი ბრწყინვალე ცხოვრება, თავისუფლება, და 1921 წლიდან ისევ შავი დღეები, 24 წელში სისხლით მოწყულო საქართველო, და დღემდე გაგრძელებული ძალადობა, ნგრევა, დაცემა...

მაგრამ აქ ქეთევანმა ველარ მოითმინა, და უამთ მსვლელობის მიერ სადღაც მიჩქმალულმა ქართველი ქალის სიამაყემ, ერთხელ კიდევ ენა აიდგა და განარისხებით მკითხა:

— მერმე რას შვრებიან ქართველი დედები?! ჩვენ დროსაც აწვა საქართველოს მიძივე ლოდად რუსული მონარქია; მაგრამ ჩვენ მხნედ მამაკაცებს გვერდში უდექით და მათ დანაკლისს ჩვენ ვაცხებდით. ნუ თუ ესლანდელმა რეპრესიებმა მათაც ჩაუწიხლეს მტკიცე გული, მოუწამლეს უმწიკვლო სიყვარული?!

ქეთევან—ქართველი ქალის განსახიერებავ—მაშინ, ბევრი რამ დაგიძალე, კარგად ვხედავდი, თქვენს ნახსხეს ნალველი ჰფარავდა, როდესაც გესმოდათ თქვენი საყვარელი სამშობლოს გაუგონარი ტანჯვაწამების ამბები. რაც მაშინ დაგიფარე, მინდა ეხლა გულახდილად ყოველივე გაუწყლო:

თუ ცარიზმის ას ჩვიდმეტი წლის რეჟიმმა თქვენს სქესში შემონახული, ქართული სულისკვთების ურყევი საფუძვლის შებღალვა ვერ შესძლო, დღეს თუთხმეტი წლის ჯულაშვილის ტირანიამ ამ მხრივთაც აუწერელი ვნება მოგვიტანა.

ძნელია, იმედების დამყარება უგნურთა ხელში ანაბარად მიტოვებულ, თქვენი სქესის ახალგაზდა მოღმემაზე, რომელსაც თამარ მეფის სიმძლავრის გულში უნერგავენ პატარობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მას გვირგვინზე ხუთ სხივიანი ვარსკვლავი არ ჰქონდა მიკრული «სოსოს» სურათით.

ქართველ ახალგაზდობას აღარ ჰყავს ის უებარი ჰედაგოგი გოგებაშვილი, დღეს აღარ არსებობენ ერისთვის მებრძოლი გახეთები და მათ ფურცლებს ქვეშ თავ შეფარებული ბუმბერაზები, რომელნიც ისე მოხერხებულად თავს აღწევდენ ყოველ დაბრკოლებას, გზაკვალს უბნევენდენ რუსულ ცენზურას და თქვენ ქართული სულით გკვებავდენ.

აღარ არიან დასები, პარტიები, ეროვნული საზოგადოებრივობა, არა იმიტომ, რომ აღარავის სურს, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ შეუძლებელი შეიქნა, მიუხეველი დღევანდელს პირობებში. ჩეკის თვალეები ყველგან ანათებს, ტერორს ქვეშ ჩაყენებული საბრალე ხალხი, დამშეული, გაძარკული ხმას ვერ იღებს.

ციმბირის გაყინული მიდამოები გააღწო თავისუფლებისათვის ანთებულ მებრძოლ ქართველთა საფლავებმა, უამრავ ახალგაზდათა სიცოცხლეები კვლავ აღა მაჰმად ხანის ლაშქართან ბრძოლაში კი არ ილუპებიან არამედ ჩეკის სარდაფებში, «ქართვე-



ლის დედას» დიმილოს აღარ ჰგვრის შიკრიკის მოტანილი გმირული ამბავი—«შენი პირმო აღარა გყავს. ალექსანდრე მოგიკლესა, უმცროსი ძმა მიეშველა, იმასაც დღე უმოკლესა».

და რაც საშინელება დღეს საქართველოში ტრიბუნებს, ყველაფერი კეთდება თვით ქართველების მიერ, მოლაღატე ქართველების, მოსკოვის კარნახით...

ასეთ პირობებში აბა რა უნდა ჰქნას ქართველის დედამ?

მასსოვს, სხვათა შორის, შემეკითხეთ, თუ რა შინაარსისაა დღეს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ქართული სახალხო სიმღერები, რომელიც წინად უნაკლოდ გამოხატავდნენ ერის ღმერთსა თუ ჰეროზარამს, და მის საერთოდ მთლიან სულიერ განწყობილებას.

სამწუხაროდ უნდა აღვიარო, რომ რუსთაველის გამზირზე, ოპერის ბაღში, განსვენებულ ვანო სარაჯიშვილის საფლავზე მდებარე, შუაზე გადატეხილი ხალამური იმისდა მომასწავებელია, რომ დიდი ხანია ქართველ ერს თავისუფლად გულის ნადების შესაფერ კანგებზე დალადის საშვალეება მოსპობილი აქვს.

ხანგრძლივად ნაწამებ ხალხის მიერ, სამი წლის განმავლობაში განცილები თავისუფალ ბედნიერების განცხრომა 25 თებერვლის დილით საზარელმა სიანამდილემ შესწყვიტა, და სისხლის ზღვამ მთელი ქართული სიამაყე უფსკრულში ჩააქცია. მაგრამ კოჯრის მთაზე აღმართული დაფლეთილი ქართველის დროშა, კიდევ ამჟამად მდგარი, მთაწმინდიდან მობერილ სიფს შრიალზე, იმედიანად ჩურჩულებს: ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავთ, მოელის ტურფა გამომხსნელსო.

ივ. ბერდოელი.

### უცხოეთის მიმოხილვა

ეთიოპიის ბოლო.

ეთიოპიის იმპერია უკვე აღარ არის, ის იქცა იტალიის იმპერიად, და მისი დამპყრობი მარშალი ბადოლიო მეფის ნაცვლად დაინიშნა აღის-აბებაში. დაპყრობა და ანექსია ზედიზედ მოხდა და ამან კი განსაცდელში ჩააგდო ერთა ლიგა. დუჩეს დელეგატმა ალოიზმა პირდაპირ მოითხოვა ლიგის საბჭოში, რათა სიტყვა არ მიეცათ ეთიოპიის დელეგატისთვის და, როცა ეს მოთხოვნა არ შეიწყნარეს, დასტოვა სხდომა, ხლოო მეორე დღეს მთლად წავიდა ქენევიდან თავის შეფის ბრძანებით.

როგორც განსოვთ, ლიგამ სანქციები დააწესა იტალიის წინამდევ, დღეს ომი დასრულებულია, მაშასადამე, ისმის კითხვა მათი გაუქმებისა. თუ გააუქმა, გამოდის, რომ ლიგა ადასტურებს ეთიოპიის ანექსიას და უკან მიაქვს თავისი წინანდელი რეზოლიუციები. თუ არ გააუქმა, იტალია უარზეა ლიგის

წევრად დარჩეს, ალოიზის ქესტი ამის მაჩვენებელი უნდა იყოს.

იპოვეს შაბლონური გამოსავალი: კითხვა გადადევს შუა იენისამდე.

ქესტიონერი.

ამ დროისთვის არის გადადებული მეორე კითხვა: რენანიში ჯარების შეყვანა. მანამდის უცდიან გერმანიის პასუხს ინგლისის მიერ გადაგზავნილ კითხვებზე, რომლის უმისოთ საფრანგეთი თავს იკავებს გერმანიასთან მოლაპარაკებისაგან, ომისა და ზავის შესახებ. ვითარება აქაც ძალზე შეიცვალა. იმის გარდა, რომ იტალია უარზეა ლოკარნოს დავალება შეასრულოს, სანამ სანქციებს არ მოხსნიან, საფრანგეთის არჩევნებმა გამარჯვება ხალხსნურ ფრონტს მისცა, რაიცა მოასწავებს სტრეზას ბლოკის გაუქმებას, მაშასადამე, გერმანიის პოლიტიკის განმტკიცებას. საუქვოა ამ პირობებში ჰიტლერმა რამე არსებითი დათმობა გააკეთოს, ინგლისი მომხრეა მაინც დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან, მით უფრო, რომ იტალიის გამარჯვებამ აფრიკაში სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდო მისი საიმპერიო გზები და ცდილობს ჩქარა მოავგაროს დასავლეთის საქმეები. ბევრი და მოკიდებული იმაზე, როგორ მოიქცევა საფრანგეთის მთავრობა, სოციალისტ ბლუმის მეთაურობით.

ბალკანეთის ბოლო.

იტალიის გამარჯვებამ იუგოსლავია და ოსმალეთი დააფრთხო. ჰქონდათ თათბირი ბელგრადში ბალკანეთის ორი სხვა მონაწილის—რუმინის და საბერძნეთის—წარმომადგენლებთან. ვინაიდან ალბანია ენლახან პრეტეტორატის ხელშეკრულება დასდო იტალიასთან, იუგოსლავია გამოსტყვამდა შიშს, რომ უკანასკნელმა იქნებ დაიკავოს ალბანია და ამ შემთხვევაში ბლოკში შემავალი უნდა დამენმარონ ამას წინამდევობა გავუწიოთ საერთო ძალითო. ცოტა ყოყმანის შემდეგ დაეთანხმნენ იუგოსლავიას და ესკი არ იძლევა რწმენას, რომ საქმითაც გაანაღდებენ დაპირებას.

მეორეს მხრით, რუსტუ არასი მოითხოვდა სრუტეების კონვენციის გადასასინჯავად ბლოკში მონაწილეთა დახმარებას, ვინაიდან, ამბობდა ის, იტალია, ეთიოპიის შემდეგ, ეხლა შავი ზღვისკენ იბრუნებს პირს და ამის წინამდევ კი საქირთა სრუტეების გამაგრებაო. მანაც მიიღო დაკმაყოფილება, მხოლოდ საბერძნეთმა თავისთვისაც მიიღო უფლება თავის კუნძულებიც გაამაგროს, დარდანელის ახლო. ქენევაშიც ბევრი ეცადა ოსმალეთის საგარეო მინისტრი, რათა საჩქაროთ მოეწვიათ კონფერენცია, და თითქო მიაღწია, რომ იგი გაიხსნას მონტრალში იენისში.

მიტინგ ანტანტა.

დიდ საგონებელში ჩავარდა მცირე ანტანტაც: იგივე იუგოსლავია, რუმინია, ჩეხოსლოვაკიის დამატებით. მათი ყურადღება მიიქცია ავსტრიის ამბებმა. იქ ერთმანეთს ებრძვის გერმანიის და იტალიის



გავლენა, მცირე ანტიანტიკი არც ერთის მომხრე არაა, უნდა განამტკიცოს საფრანგეთის გავლენა, რომელიც არაპირდაპირ ინგლისის გავლენასაც აღიერებს ვენაში. იქ იყო ამას წინად ოსტენ ჩემბერლენი, ვითომ ტურისტად, ხოლო მის წასვლის შემდეგ გამოჩნდა, რომ მას ბევრი უმუშავენი ვენის და პრაღის დაახლოებებისათვის, ხოლო ეს ნიშნავს პარიზის და ლონდონის ერთგვარ თავდებობას ავსტრიის დამოუკიდებლობის დაცვისათვის. პირველ თავდებად აქამდის რომი იყო აღიარებული და მისი ზრახვების გამტარებელი თავადი შტარკემბერგი, ავსტრიის ვიცე-კანცლერი იყო. უკანასკნელი უეცრად დაითხოვა კანცლერმა შუშნიგმა და მთავრობა თავის მომხრეებისგან შეადგინა. ესლა ის აცხადებს, რომ ჰაიმვერსაც დაშლის, შტარკემბერგის მოხალისე ლაშქარს, და სახელმწიფოს მხოლოდ ჩვეულებრივი ერთფეროვანი ჯარი ეყოლებათ. არავინ იცის, რას ფიქრობს შუშნიგი რეჟიმზე; ესლა მარტო ისაა დიქტატორი, დუალიზმი მოსპობილია, მაგრამ არის ზოგიერთი ნიშნები, რომ მას უნდა ჩაითრიოს ფართე მასები ქვეყნის დაცვაში, ხოლო ამისათვის საჭიროა მათი დაინტერესება რეჟიმის შეცვლით.

მაგრამ ამ ცვლილებით, კიდევ რომ მოხდეს, საეჭვოა ქვეყნის ხსნა გარეშე სიფათისაგან. ეს კითხვაც დაუყენა ინგლისმა გერმანიას, მამასადაძე, მისი გადაჭრაც დამოკიდებულია იმაზე, რა მსვლელობას მიიღებს დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკება.

**ბალტიის რესპუბლიკები.**

მრავალი წლის ამაო მოლაპარაკების შემდეგ, ესტონია, ლატვია და ლიტვა თითქო ნახულობენ საერთო ენას. ეს სამი გლეხური პატარა სახელმწიფო, შედარებით თანაბარი ეკონომიური და პოლიტიკური ტენდენციებით, თითქო თავიდანვე მოწოდებული იყვნენ, თუ ფედერატიული არა, კონფედერატიული კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. მაგრამ ამას ხელს უშლის გარეშე გავლენანი: რუსეთის, პოლონეთის, გერმანიის. ამ გავლენათა წყალობით დემოკრატიულმა რეჟიმმაც ვერ იბოგინა ხსენებულ რესპუბლიკებში და ყველგან, აშკარა თუ მალულმა დიქტატურამ გაიმარჯვა. სამივე რესპუბლიკის საგარეო მინისტრები ხშირად ბუობენ ერთად, ზოგიერთი საბაჟო შეთანხმებანიც შეკრეს, ლატვიამ და ესტონიამ სამხედრო კავშირიც შეკრეს... მაგრამ ყველა ეს არ იძლევა საკმაო გარანტიას ქვეყნის დასაცავად. ახლახან ლატვია-ესტონიის შტაბის უფროსები მოსკოვს ეწვიენ და ეს კი მოასწავებს თითქო მისგან ელიან შევლას, საფრანგეთის და ინგლისის ჩუმი მითითებით. გამოდის; ამრიგად, რომ გველენაშის დაღებულ ხახას უახლოვდებიან ჩასაყლაპავად!

მათი პირდაპირი ინტერესი თითქო იმას მოითხოვდა, რომ პოლონეთს დაკავშირებოდნენ, მაგრამ ამას კვლავ ხელს უშლის ლიტვის არამეგობრული განწყობილება უკანასკნელთან. ისტორიაში სანიმუშოცაა, რომ ორ მეზობელს ამდენი ხანი ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება არ ჰქონ-

დესთ. ამას ზედ ერთვის პოლონეთის დაახლოება გერმანიასთან. უკანასკნელის კი ერთობ ეშინიათ ბალტიის რესპუბლიკებს: ალბად ჩვენი გზით აპირებს ის მოსკოვიტებზე გალაშქრებას—ფიქრობენ ისინი.

ჩვენ არ ვეხებით სკანდინავებს, ფინლანდიასთან ერთად, მათი საგარეო მინისტრებიც ხშირად ბუობენ, მაგრამ ქენევის ფარგლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთა ლიგას მოვლის ერთგვარი რეორგანიზაცია, და პატარა სახელმწიფოებიც მას შეეყურებენ უფრო შიშით, ვინემ იმედით. ლიგის კრიზისი მათი კრიზისიცაა, ეს თავის თავად გასაგებია.

**თურქეთიდან საბერძნეთში**

(წერილი საბერძნეთიდან)

თუთხმეტი წელი გავატარეთ თურქეთში, კეთილი და ლოიალური განწყობილება გვქონდა იქაურ ხალხთან. არცერთ ჩვენგანს მთელი ამ ხნის განმავლობაში არავითარი საქმე არ გვქონია თურქების ადმინისტრაციასთან რაიმე დანაშაულის გამო. ჩვენი, —ქართველების ცხოვრება, როგორც უსამშობლო ხალხის, ემიგრანტების პირდაპირ სამაგალითო იყო. ბაგეზე კლიტე დადებულნი და ხელფეს შეკრული ადამიანები, ცხადია ვერავითარ პოლიტიკურ მუშაობას ვერ ვაწარმოებდით. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც კვლავ მსხვერპლი ვავხდით ბოლშევიკების ძალმომრეობისა. ჩვენც რა შეგვეძლო გარდა იმისა, რომ წავსულიყავით თურქეთიდან და მიგვეტოვებია 15 წლის ნაოფლარი და ნაამაგარი.

საბერძნეთმა მიგვიღო დროებით, მთვის ვადით, იმ პირობით, რომ ამ ხნის განმავლობაში ნანსენის ოფისი გამოძახების ჩვენთვის ვიზებს და გადაგვაგზავნის, სადაც ამას მოახერხებს, როგორც ხმები, სამხრეთ ამერიკაში, პარაგვაიში, რადგან არცერთი ევროპის სახელმწიფო არ გვდებულობს კრიზისის გამო. საარსებოთ მცირე დახმარებას ოფისი გვაძლევს.

არ შეგვიძლია გულგრილად ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რაც აქ ვიხილეთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 15 წელი გავატარეთ თურქეთში, სადაც ხშირად «გიაურები» ვიყავით და არცერთი ჩვენგანი არ იყო დაზღვეული ბოლშევიკების ხელის ფათურისაგან. ცხადია, ამ შემთხვევაში სრულებით არ გვაქვს მიზნად შევეხოთ ჩვენი მეზობელი თურქის ხალხის ღირსებასა და რითიმე დავამციროთ ის. ხალხი, როგორც უმეტეს შემთხვევაში და თითქმის ყოველთვის, არაფერ შუაშია. მას ჩვენთან მუდამ ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა და უკანასკნელ წუთამდე დაუჯერებლად მიაჩნდათ ადმინისტრაციის დაუმსახურებელი მოქმედება ჩვენს მიმართ. ჩვენს გულისწყრომას იწვევს ადმინისტრაცია, რომელმაც საჭიროდაც კი არ დაინახა, დროზე გავეფრთხილებით, თუ რა მოგველოდა, რომ გულდასმით მოგვეწყო ჩვენი წამოსვლის საქმე და ნორმალურად ჩავგე-





ტარებია ჩვენი 15 წლის ნაამაგარის ლიკვიდაცია. პირიქით უსაბუთო იმედებით გვეკვებავდნენ, წინამდევნი გვარწმუნებდნენ. დასაშვებია, თქმა არ უნდა, რომ ხშირად სახელმწიფოს ინტერესები მოიხზოვს მსხვერპლს, მაგრამ ასეთი სახით გადმოყრა უდანაშაულო ხალხის მხოლოდ იმიტომ, რომ მას უყვარს თავისი სამშობლო და უნდა ეს სამშობლო მას ეკუთვნოდეს, არ შეიძლება გამართლებულ იქნეს...

არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ და აქვე არ აღვნიშნოთ ნანსენის ოფისის სტამბოლის განყოფილების უმართებულო მოპყრობა. ჩვენთვის დღემდის ამოცანად რჩება, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ეს დაწესებულება, რომლის სათავეში იმყოფება «მესაქერი მარტიმის» სანავოსნო საზოგადოების დირექტორი ბ-ნი კუტო.

ოფისის განყოფილება თავისი სურვილის მიხედვით არჩევდა გამზადებულ პირთ და აძლევდა პოლიციას გადმოსაცხადებდა. ასე მოგვექცენ ჩვენ, ქართველებს, რომლებიც პირველ რიგში გადმოგვეყარეს იმის მომჩივნებით, რომ თურქის პოლიცია დაგვატუსაღებდა და ძალით დაგვსხამდა გემზე, თუ რომ ვანვიზრახავდით შეჩერებას რამდენიმე დღით. აგრეთვე ხშირი იყო დარღვევა ემიგრანტებისთვის გადაწყვეტილ დახმარების დარიგებაში. ზოგს მეტს აძლევდნენ და ზოგ ნაკლებს. უთუოდ აღსანიშნავი არიან ბ-ნი კუტოს თანამშრომლებიც. მაგალითად მისი პირადი მდივანი სომეხი ვინმე ა—ი, ყოფილი ბოლშევიკების მოხელე სტამბოლში (ნეფტესინდი-კატში), საბჭოების პირწაგარდნილი აგენტი, რომელიც ერთ ჩვენთანგანს ენერგიულად ურჩევდა საბჭოთა კავშირში დაბრუნებას. აგრეთვე ზ—ვი, სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენი თანამემამულე და ყოფილი ჩვენი ადმინისტრაციის მოხელე, რომელმაც უთუოდ არა უკანასკნელი როლი ითამაშა ჩვენს გადმოყრაში. ეს ვაჟბატონი, დღეს პოლიციის აშკარა აგენტი, ერთ დროს ახლო იდგა ჩვენს წრეებთან და ნდომით იყო აღჭურვილი. უნდა ვთქვათ, რომ მეტად მოხერხებულად იყვნენ ის ამ ხელსაყრელ დროს და რაც შეეძლო ხელს ითბობდა ა—თან ერთად. ისიც უნდა მივუმატოთ, რომ ოფისის განყოფილებამ აშკარად დაგვიძალა სინამდვილე, რომ ჩვენ საბერძნეთი მხოლოდ დროებით, ნ თვით გვლებულობს და შემდეგ გადაგვზავნიან პარაგვაიში თუ სხვაგან. რომ ჩვენთვის სინამდვილე არ დაეფარათ, ზოგს ჩვენგანს შეეძლო ბელგიაში ან სერბიაში მოწყობა, —რადგან საამისო ვიხები მაშინ იყო. იმ იმედით, რომ საბერძნეთში უკეთ მოვეწყობოდით. ორმა ჩვენგანმა უარი განაცხადეთ უკვე მოსულ სერბიის ვიზებზე. ასე სამწუხაროდ დამთავრდა ჩვენი სტამბოლში ცხოვრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენი იმედები და ცდა დღეს უმთავრესად საბერძნეთზეა შეჩერებული, ვცდილობთ როგორმე მოვახერხოთ აქ დარჩენა და მოწყობა და მით თავიდან ავიცილოთ სამხრეთ ამერიკაში გადაყრა, რაიც უდრის ჩვენ დაღუპვას. ვფიქრობთ, რომ უნაყოფო არ დარჩება ეს ჩვენი იმედები. ამის საბუთს გვაძლევს ბერძნის ხალხის და მისი

ადმინისტრაციის ჩვენდამი განსაკუთრებული კარგი მოპყრობა და გულშემტკივრობა.

ათინაში ბევრი ჩვენი თანამემამულე ბერძენი ვნახეთ გადმოხვეწილი ტუფლისიდან, ფოთიდან, ბორჯომიდან და განსაკუთრებით ბევრია უკრაინიდან. რომელთა შორის ზოგი ნაცნობი და მეგობარი აღმოჩნდა. მიმიძის გადმოცემა იმ დრამატიული სურათის, რომელსაც წარმოადგენდა ჩვენი შეხვედრა. მათში არიან ისეთები, რომლებიც ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ ისე როგორც ჩვენ, ჩვენსავით მღერაინ და ცეკვავენ; ჩვენში დაბადებულან და აღზდილან, აქ ყველაფერი უცხია მათთვის. აცრემლებულის თვალებით შემოგვეცქეროდნენ, სიხარული ტირილად ეცვლებოდათ დაკარგულ საქართველოს მოგონებით და დღევანდელ სინამდვილის წარმოდგენით. არიან ისეთებიც, რომელთაც ჩვენში დროებით უცხოვრიათ, ესენიც კი იქით მიისწრაფიან, მთელის თავის აზრებით და გრძნობებით, სულითა და გულით იქ არიან, იმ დროს უცდიან, როდესაც კვლავ ეღიბებათ ლამაზ და უხვ საქართველოს ცხოვრებით დასტკბენ, მისი ჰაერი ისუნთქონ... რითაც შეუძლიათ, ყველანი მზად არიან დაგვეხმარონ. გვანუგებონ, ნათესაურის გრძნობით გაათბონ ჩვენი დაობლებული სული, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ესენიც ჩვენს ტაფაში იწვიან და ოდესღაც მდიდარი და შეძლებული ხალხი დღეს ბოლშევიკების წყალობით სიღარიბეში არიან ჩავარდნილნი.

გალ. მგა—შვილი.

კუნძული სირა.  
საბერძნეთი.

შვილი ახმარიკილან

როცა განსვენებული პრეზიდენტი შეერთებულ შტატებისა კალვინ კულიჯი ცოცხალი იყო, ვილამ სთქვა: «კულიჯი იმიტომ არის დიდი კაცი, რომ დიდ სპილოს კისერზე ზისო. ე. ი. 130 მილიონ განათლებულ ხალხის პრეზიდენტი არისო. კულიჯს უფლება ქონდა დიდი კაცობისა, რადგან მას თუ თავი «არ გამოუჩინია», მაინც თავის ერისთვის ზიანი არ მოუტანია...

სტალინი კი იმითაა «დიდი კაცი», რომ მან ხელი შეუწყო 170 მილიონ სულიდან შემდგარ ერების განადგურებას და განსაკუთრებით აწამა თავისი ლეიბლი სამშობლო.

ჩვენ ამ ვაჟბატონს არ შევეხებოდით, რადგან ქვეყანა ისედაც ლაპარაკობს მანზე, რაც ალბად მას ძალიან ასიამოვნებს, რომ აქაურ გაზეთებში ყოველ ქართველის ამალეღვებელი სურათი არ გამოქვეყნებულიყო. «ნიუორკის ტაიმს» ამ «ოფოტო»-ს ქვეშ უწერია: რუსეთის ფოლადის კაცი დნება, იოსები სტალინი, რუსეთის დიქტატორი, ართმევს ხელს ქართველ მოწაფე გოგოს, ვინც ჩამოსულა მოსკოვში, რომ მიიღოს მონაწილეობა საქართველოს გასაბჭოების თუთხმეტი წლის თავზე გამართულ ზეიმში».



ამ ცინიკურ სურათში სტალინი იღრპება, მილოცვას ღებულობს, ალბად განგებ ამ შემთხვევისთვის არჩეულ თუთხმეტი წლის, ქართველ გოგოსგან. ვინ იცის, რა ფიქრები ტრიალებდა ამ ორ ქართველის თავში ამ «დიდი» მომენტის დროს!.. იცის თუ არა პატარა ქართველმა გოგომ, რა ტრადელია დატრიალდა მის დაბადებისას მის სამშობლოში?.. გულწრფელია, თუ იძულებითია მისი მოლოცვა «დიდი ქართველისადმი»?.. მომწიფებულია თუ არა მისი ახალგაზდა ტვინი ამ ტრადი-კომედიის გასაგებად, რომელიც ხდება მის თვალწინ მოსკოვში და რომლის აზრი თუთხმეტი წლის წინედ იქვე მოსკოვში დაიბადა თვით ამ «დიდი ქართველის» მონაწილეობით?.. ნეტავ ვიცოდეთ რა აზრი ტრიალებს თვით «დიდი ქართველის» და იმ ორიოდ პატარა ქართველის თავში, ვინც რუსების ხიშტებს მიუძღოდნენ წინ თავის სამშობლოს გასანადგურებლად და თავის მოძმეთა ამოსაყლელად?..

ალბად, არა ერთი პათეტიური სიტყვა წარმოიტქვა მოსკოვში ამ თუთხმეტი წლის ქართველ ხალხის ტანჯვის თავზე, როგორც რუსების ისე ქართველების მიერ!.. არა ერთი იტყოდა, რომ ქართველმა ხალხმა თვითონ მოახდინა «გადატრიალება», როგორც ეს მოსკოვის დიპლომატებმა არაერთხელ განაცხადეს ქვეყნის მოსატყუებლად და თავის სისხლში გასვრილი ხელების განსაბანად...

მაგრამ ისტორიას ვერ დაამახინჯებენ ვერც რუსები და ვერც მოალატე ქართველები. ამ უკანასკნელთა შორის «საპატიო» ადგილი უკავია ფილიპე მახარაძეს. ის ისტორიაში ჩავა როგორც «იუდა ქართველი», რომელმაც პირველი საბჭოთა მთავრობა შეადგინა შულავერში საქართველოსთვის. აი სწორედ ამ პატარა ქართველის შრომას ვისარგებლებთ იმის დასახასიათებლად, რაც მოხდა ამ თუთხმეტი წლის წინედ.

ჩვენს ხელშია ფილიპე მახარაძის საიუბილეო წიგნი რუსულად საქართველოს დაპყრობის ათი წლის თავზე სათაურით: «საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა უფლებისთვის საქართველოში 1917-1921 წლებში, თარგმნილი ქართულიდან, ტფილისი 1928 წ.»

ეს 264 გვერდიანი «შრომა» ხალის ფასად არ ეღირებოდა, რომ ამ წიგნის ბოლოში (263 გვერდი) ორი, ერთიმეორეს საწინააღმდეგო, საყურადღებო აზრი არ იყოს მოთავსებული. ერთში ფილიპე ამბობს:

«ბევრს აქვს სრულებით შემცდარი წარმოდგენა ამ ბრძოლაზე. ფიქრობენ, რომ რუსეთის საბჭოებმა დაიპყრო საქართველო ხიშტების ძალით. განსაკუთრებით ასეთი შეხედულება არის გავრცელებული საზღვარ გარედ. ლაპარაკიც მეტია, რომ ეს სრულებით ტყუილია».

იმავ გვერდზე ცოტა ქვევით მახარაძე ამბობს:

«მდგომარეობა შესდგა ისე, რომ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის დაუხმარებლად ძალიან ძნელი იქნებოდა საქართველოში მუშებისა და გლეხებისთვის თავის განთავისუფლება. და ვის შეუძლია უსაყვედუროს ან ერთს ან მეორე მხარეს ძმური დახმარებისთვის?»

გასაკვირი არ არის ფ. მახარაძის ულოგიკობა. მისი ტვინი ადრე შეირყა, როცა ის (და მუჟა გადაგვარებული) დაიძრა რუსების ხიშტებთან ერთად თავის სამშობლოს წინააღმდეგ—ქართველ ერის კერის გასაქრობად...

ეს ახალი ცნობა არ არის ჩვენთვის, ყველა მოზრდილმა ქართველმა განიცადა ოკუპანტების ძალადობა, მაგრამ იცის თუ არა ეს ამბავი იმ ახალგაზდა თაობამ, რომელიც ულოცავს «დიდ ქართველს» ამ «ბრწყინვალე დღეობას»? სავალალოა, რომ ამ სიტყვებს ფილიპეს წიგნში არავინ წაიკითხავს—ვინ მიადწევს ამ ბოდვის ბოლომდე! ჩვენ თუ წავიკითხეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მოწყვეტილი ქართულ ლიტერატურის ცენტრს, და ამბებს ვეტანებით ყველაფერს, რაც ეხება სამშობლოს, განურჩევლად ავტორებისა...

არანაკლებ «ღვაწლი» მიუძღვის სამშობლოსადმი თვით «დიდ ქართველს». ესეც ყოველმა მოზრდილმა ქართველმა იცის, მაგრამ სამწუხაროდ ახალგაზდა მოკლებულია ამ ბელადის წარსულის ცნობებს. მათ შეეძლო ამოეკითხათ ბევრი რამე უცხოეთის ლიტერატურაში. მაგალითისთვის აქ მოვიხსენიებთ ამერიკელ ავტორის ისააკი დონ ლევიანის შრომას. ეს არის 420 გვერდიანი წიგნი «სტალინი». დონლევიანი რუსეთის ისტორიის კარგი მცოდნედი ითვლება. განსაკუთრებით გასაკვირია მისი ერთდოცა რუსეთის რევოლუციის და მისი ლიდერების შესახებ. ამ წიგნის ბოლოში მოყვანილია, როგორც თვითონ ავტორი ამბობს «ნაწილი» რეფერენციისა, რომელსაც ის სარგებლობდა და რომელიც შეიცავს 130 გვარს (ამათში 75 რუსული გვარია, 4—ქართული).

ამ შრომაში სტალინთან ერთად აწერილია რუსეთის რევოლუციონური მოძრაობა. განსაკუთრებით წითელ ზოლად სჩანს სტალინის ბრძოლა შიგ ბოლომდეკების პარტიაში, ბრძოლა უფლებისათვის, ბრძოლა სავსე ინტრიგებით, ჯერ კამენევის და ზინოვიევის წინააღმდეგ, მერე ამ ვაჟბატონების მორიგებით და შემწეობით ტროცკის წინააღმდეგ; მერე ბრძოლა ლენინის დაუძღურების დროს მისი ცოლის წინააღმდეგ, ისევ ტროცკის წინააღმდეგ და მერე ისევ კამენევის და ზინოვიევის... ასეთივე მანევრები და ინტრიგები ტომსკის, რიკოვის და სხვების მიმართ...

განსაკუთრებით კარგად არის აქ დახატული სტალინი წაგების დროს. როცა მის მანევრებს-ხრიკებს მისი მოწინააღმდეგე «ამხანაგები» ამარცხებდნენ,—სტალინი დაიხვედა, უსიამოვნებით შელახული ბრჯყალებს მალავდა და დროს უცდიდა.

როცა მოხერხებულ მომენტს დაინახავდა, არავითარ საშვალებას არ ერიდებოდა: არც ამხანაგს, არც პრინციპს და არც მის «სამშობლოს»—საქართველოს.

ეს უკანასკნელი მას არა ერთჯერ უხმარია როგორც იარაღი მისი ინტრიგების დროს ლენინის და ტროცკის წინააღმდეგ. როცა საქართველო გაქყლელი იწვა რუსის ჩეკებს ქვეშ, ჯულაშვილი იბრძოდა საქართველოს «ავტონომიის» წინააღმდეგ, რომ





დამარცხებია ავადმყოფი ლენინი და მისი მხარის დამპყერი—ტროცკი...

ალბად ისტორია მეტს გამოააშკარავებს, რადგან ამ წიგნის დამწერს დონ ლევიანს ახრად არ ჰქონია საქართველოს გამოსარჩლება, ეს მან იმდენად მოიტანა, რამდენად სჭირდებოდა სტალინის ინტრიგანულ პიროვნების დასახსიადებლად. ჯულაშვილმა საქართველო გამოიყენა კიბედ იმ ტახტზე ასასვლელად, რომელზე ის დღეს ზის...

მოვიყვანთ ამ შინაარსიან წიგნიდან (არ წაავაგვს პანრი ბარბიუსის «სტალინს») ზოგიერთ ადგილებს:

ჯერ კიდევ «როცა საბჭოების კონსტიტუცია იწერებოდა, მაშინ მოხდა გამწვავებული შეტაკება რუს ლენინსა და ქართველ სტალინს შორის. უკანანასკნელი იცავდა იმპერიალისტურ ტენდენციებს! ლენინი მოითხოვდა ყოველი ერის უფლებას სრულ გამოყოფამდე ფედერაციიდან. ამ აზრმა გაიმარჯვა სტალინის წინამდევ, მაგრამ დარჩა, რასაკვირველია, მკვდარი»...

«ლენინის სიკვდილის შემდეგ დიდი მანძილი გაიარეს ბოლშევიკების პრინციპებმა. ასეთია გავლენა ძლევა მოსილობის დოქტრინაზე. ცარიზმის ქვეშ სხვადასხვა ერები შებოქილი იყვნენ ერთად რკინის მართვლობით, მილიტარულ ბიუროკრატიული მანქანით ზევიდან. ბოლშევიზმის ქვეშ ისინი არიან შებოქილი რკინის მართვლობით პარტიულ მანქანით შიგნიდან... სტალინმა ერების კომისარობის დროს ისწავლა, რომ განუსაზღვრელი ბატონობა შეუძლებელია არა ცენტრალისტურად შეერთებულ ერებზე»...

«... ლენინის იზოლიაციის დროს საქართველოში გაიმართა ბრძოლა. ორი ფრაქცია იბრძოდა გავლენის მოსაპოვებლად. ერთის სათავეში იდგა ძველი ბოლშევიკი (ბუდუ) მდივანი, ვინც საბჭოების კონსტიტუციას ხსნიდა სიტყვა-სიტყვით და ითხოვდა საბჭოთა საქართველოსთვის ფართო დამოუკიდებლობას. მეორე ფრაქციის სათავეში იდგა ორჯონიკიძე, სტალინის მსახური. ეს შეტაკება გათავდა ხელჩართული ჩხუბით. ორჯონიკიძე, ვინც უწინ მისი ახლანდელ ბატონ სტალინთან ერთად ბაქოს ციხეში იჯდა და უხეშობისთვის გალახული იქნა, ახლა ცდილობდა სტალინის ხაზი გაეტანა მუშუტით. მდივანს ენმარებოდა ლენინი. მაგრამ ლენინი ავადმყოფობის გამო ვავლენას მოკლებული იყო... სტალინი უმაღლავდა მას საქართველოს ამბებს... სტალინს გვერდში უდგა ჯერზინსკი. ეს ორი დაზარალებული ერის შვილები მოქმედობდნენ როგორც დიდი რუსეთის იმპერიალისტები!»

«... ლენინმა საქართველოს კითხვა პრინციპილურ კითხვად დააყენა. მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ამ კითხვის დაცვა ტროცკის მიანდო. მდივანს კი ლენინმა მისწერა: მე ვმუშაობ თქვენთვის ჩემი გული და სულით. მე გაბრაზებული ვარ ორჯონიკიძის უწესობით და სტალინ-ჯერზინსკით, რომელნიც მას აქებებენ. მე ვამზადებ თქვენთვის მოხსენებას»...

აწერილია დონ ლევიანის წიგნში ცენტრალურ კომიტეტის სხდომა, სადაც სტალინმა თავის დამქაშებების დახმარებით ტროცკის მოწინააღმდეგე მობზადებულნი მოიყვანა და სხვა კითხვით ზარდაცემულს ტროცკის საქართველოს «ავტონომიის» კითხვა ადვილად წააგებინა... მდივანს სიტყვის წარმოთქმის საშვალეც არ ჰქონია...

ასე იბრძოდა და იბრძვის «დიდი ქართველი» საქართველოს წინააღმდეგ... ახლა თავის სამშობლოს დამონების 15 წლის თავზე ის მილოცვას დებულობს.

მაგრამ დადგება დრო, როცა თავისუფალი ქართველი ერი ჯულაშვილს და მხარაძეებს «ძმური დახმარებისთვის» ლოდზე წაუწერს: «სამშობლოს მოლალატეებს»...

ნაურო.



### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა კ ი თ ხ ი

ჩვენი გამოცემის მარტის ნუმერში ცნობა გვქონდა, რომ გაზეთ «სანტინელში» ორი შვეიცარიელი სოციალისტი კორსვანტ და რობერ ერთმანეთს შეეკამათნენ საქართველოს საკითხის შესახებ. პირველი ამტკიცებდა წითელ არმიის მშვიდობისმოყვარეობას და უარყოფდა საქართველოზე თავდასხმას და ამ უკანასკნელს აზრს ამყარებდა ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციის ანგარიშზე. კორსვანტს ვრცელი პასუხი გასცა რობერმა. გავაცნობთ მკითხველებს ცოტადენი შემოკლებით რობერის წერილს. იგი ამბობს ყოვლის უწინარეს, რომ ტრედუნიონების დელეგაციის მოხსენებამ გამოიწვია ცხარე კრიტიკა და ბევრი—ადღერი და სხ.—მას უწოდებენ სამარცხვინო დოკუმენტს, რომ ინგლისელი დელეგატები ისე, როგორც ბევრი სხვა შემდეგ, ბოლშევიკებმა მოატყვილეს, უჩვენეს და უთხრეს მხოლოდ ის, რაც მათვის სასარგებლო იყო. რობერი ემყარება ზეტყუარ ისტორიულ ფაქტებს და ასე აუწერს თავის მკითხველს რუსეთის თავდასხმას საქართველოზე:

«1920 წ. 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული იყო სამშვიდობო ხელშეკრულება. 1921 წ. 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად რუსის მეთერთმეტე არმია შეესია საქართველოს. როცა საბჭოთა წარმომადგენელს შეინმანს შეეკითხებოდა ტფილისში, მან განაცხადა, ჩემმა მთავრობამ ამის შესახებ არაფერი იცისო და ეს საქმე ალბად გასაბჭოებული სომხეთის მთავრობის მოწყობილი არისო. უკანასკნელის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა კი სრულებით უარყო ეს, სომხეთი აქ არაფერ შუაშიაო. სომეხი მართალს ამბობდა და სტყუოდა რუსი, რადგან ტფილისთან რომ გაცხარებული ბრძოლები იყო და ქართველებს ბევრი ტყვე ჩაუვარდათ ხელში, ესენი სულ შიდა რუსეთიდან იყვნენ.

16 თებერვალს საქართველოს მთავრობა შეეცადა ტელეგრაფით გამოლაპარაკებოდა მოსკოვს. რუ-



სეთმა არ მოისურვა საქართველოსთან ლაპარაკი. მეორე დღეს ჩიჩერინმა თავი ისე უჩვენა ყველას, თითქოს არაფერი იცოდა რუსის ჯარის შეტევანზე და განაცხადა, შუამავლობას ვიკისრებო. საქართველო მაშინვე დაეთანხმა, ხოლო ერთი პირობა დაუდვა—რომ რუსებს დაეცალათ საქართველოს დაკავებული ტერიტორია.

შეტევა გაგრძელდა. 21 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ რადიოთი მოსტხოვა ჩიჩერინს ომის მიზეზის ახსნა. არავითარი პასუხი. 22 თებერვალს მიმართა ლენინს და ტროცკის და მოითხოვდა ომის შეჩერებას, რომლის იმპერიალისტური და თავდასხმითი ხასიათი უდავო იყო. ამის პასუხი იყო კონცენტრული შეტევა კიდევ სხვა სამი მხრით, მეთერთმეტე არმიას მიენმარენ მერვე, მეცხრე და მეცამეტე არმიები, აგრეთვე ბუდიონის და ქობლას კავალერიის ნაწილები.

თურქები შეუთანხმდნენ რუსებს ან ისარგებლეს მდგომარეობა და 22 თებერვალს საქართველოს ულტიმატუმი წარუდგინეს არტაანის და ართვინის დაცლის შესახებ. საქართველოს არ შეეძლო ბრძოლა მეორე ახალ ძლიერ სახელმწიფოსთან, მხოლოდ პროტესტი განაცხადა და არბიტრაჟი მოითხოვა. თურქებმა დაიკავეს არტაანი და ართვინი და ვითომც კართველებს ვენმარებით, წინ წაიწიეს ბათომამდის, სადაც ტფილისის დატოვების შემდეგ მოწყობილი იყო ქართველი ჯარის სამხედრო ბანა. 16 მარტს თურქებმა ხელშეკრულობა დასდევს საბჭოებთან, რომლის ძალით მათ მიეკუთვნათ ბათომის ოლქის ნახევარი და არტაანის მახრა—ათი ათასი ოთხკ. კილომეტრით და 250 ათასი მცხოვრებით. იმავე დღეს მათ მოინდომეს ძალით დაკავება ბათომის სიმაგრეების და საზოგადო დაწესებულებების, მაგრამ ქართველებმა დაამარცხეს და განდევნეს ქალაქიდან. მეორე დღეს საქართველოს მთავრობა დასტოვა თავის ტერიტორია, რადგან აუცილებელი იყო დამარცხება.

ორმა დიდმა მხეცმა, თურქმა და რუსმა, გაინაწილეს გამარჯვების ნადავლი.

რუსები არ დაკმაყოფილდნენ სამხედრო გამარჯვებით და ყოველი ცილისწამება და შეურაცხყოფა დააყარეს დამარცხებულებს.

1924 წ. შემოდგომაზე «გაბედნიერებული» ქართველების აჯანყება სისხლში ჩაახვეს მათმა «გაბედნიერებელმა» ბოლშევიკებმა.

აი რატომ არაა ზღაპარი იმის თქმა, რომ წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს მშვიდობიანობის დროს, წინამდევ დადებულ ხელშეკრულობისა.

ორმა დიქტატურამ დაამხო დემოკრატია.

**პ. რ. ლ. ლე ფურსი პრალაში**

პრალის იურისტთა საზოგადოებამ და საერთაშორისო უფლების დამხმარე გაერთიანებამ ჩხოსლოვაკიაში მოიპატიჟა რამდენიმე ლექციის წასაკითხავად პრალაში პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ლე ფურსი. გამოჩენილმა მეცნიერმა წაიკითხა აქ ზედიზედ მისის პირველ რიცხვებში სამი მოხსენება, რომლებსაც დაეწრო რჩეული საზოგადოება პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებიდგან. ერთი მათგანი ეხებოდა ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხს: პროექტები ერთა ლიგის რეფორმის შესახებ. გახეთქებმა ფართოდ აუწყეს საზოგადოებას, როგორც ჩამოსვლა იშვიათი სტუმრის, ისე თემა მისი მოხსენების.

«დამ. საქართველოს» მკითხველი ხომ კარგი ხანია იცნობს ამ პატივცემულ მეცნიერს და, ქართულ პოლიტიკურ ორგანოს (იხ. «დამ. საქ.» № 80) სამართლიანი შენიშვნის თანახმად, დაწერილი აქვს გაულის ფიცარზე ამ ძვირფასი მეგობარის სახელი. ქართველ ემიგრაციას პრალაში ვერ გამოეპარებოდა ჩამოსვლა ლე ფურსის და ბუნებრივია ვერც მოითმენდა, რომ რამეთი არ გამოეშკარავეთ პატივისცემა ამ კეთილშობილ ფრანგისადმი.

ჩამოსვლისთანავე ლე ფურს გაეგზავნა ბინაზე ცოცხალი ყვავილების კონა შემდეგი წარწერით: გამოჩენილ მეცნიერს, ავტორს შრამისა—საქართველო და საერთაშორისო უფლება, პროფესორს ლე ფურსს—მადლიერი ქართველი ემიგრანტებისაგან ჩხოსლოვაკიაში...

სამადლობელ პასუხში ლე ფურსი სწერს «ლე ფურსი, პროფესორი საერთაშორისო უფლების პარიზის უნივერსიტეტში ღრმად ნასიამოვნებია სიმპატიის იმ ნიშნით, რომელიც ქართველმა ემიგრანტებმა გამოიჩინეს მისდამი, მხურვალე მადლობას უხდის მათ ამისთვის და თან გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო უფრო მეტი გაეკეთებია მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმისთვის».

ქ. ლ.

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი**

(ვახეთებიდან)

ტფილისის უნივერსიტეტში ამ ყამად ხუთი ათასზე მეტი სტუდენტი.

— გამოვიდა «თქმულება ნიბელუნგებზე», გერმანულიდან ქართულად ნათარგმნი კ. ჭიჭინაძის.

— შემოდგომისთვის რუსთაველის დასი მიწვეულია მოსკოვში.

— საკავშირო ცენტრ. აღმას. კომიტეტის დადგენილებით ხონს გამოეცვალა სახელი და დაერქვა «წულუკიძე».

— გამოვიდა სომხურად «არსენ მარაბდელი».

— ტფ. უნივერსიტეტი ამზადებს გამოსაცემად ვახტანგ მეფის პირველად დაბეჭდილი «ვეფ. ტყაოსნის» სრულს განმეორებას. დატული იქნება შრიფტი და ყოველი გარეგნულობა.